პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 50 (19192) ოთხშაბათი, 27 თებერვალი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

მშრომელთა წერილები საერთო საზრუნავია

ბიუროკრატიზმთან ბოლომდე, მასთან სრულ გამარჯვებამდე ბრძოლა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მთელი მოსახლეობა მონაწილეობას მიიღებს მმართველობაში, წერდა ვ. ი. ლენინი 1919 წელს, ხოლო მშრომელთა წერილებსა და ზეპირ მიმართვებზე მუშაობას იგი მიიჩნევდა სახელმწიფოს მართვაში ფართო მასების ჩაბმის ყველაზე შედეგიან ფორმად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ახორციელებს რა ლენინურ მითითებებს, დღენიადაგ ზრუნავს მშრომელთა წერილებზე, წინადადებებსა და მიმართვებზე მუშაობის სტილის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის. ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ მშრომელთა წერილების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა პროპაგანდისტული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანების განხორციელებისათვის: „ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ პროპაგანდა უდიდეს როლს ასრულებს აგრეთვე როგორც მასებთან „უკუკავშირის“ საშუალება. პრესის ფურცლებზე ადამიანთა აზრების ფართო, თავისუფალი გამოხატვა, მისალებ გადაწყვეტილებათა აქტიური განხილვა და საქმიანი კრიტიკა ქვემოდან, მშრომელთა წერილები — ყოველივე ეს თავისებური სადაზღვევო მექანიზმია, რომელიც გვიცავს პოლიტიკაში ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმისაგან, შესაძლებლობას გვაძლევს შევარჩიოთ ოპტიმალური გადაწყვეტები, დროულად შევიტანოთ მათში თვით ცხოვრებით ნაკარნახევი შესწორებანი“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე მუშაობის მდგომარეობისათვის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანოების პასუხისმგებლობის გაძლიერებას. მშრომელთა წერილებზე მუშაობის დონე ხდება ამა თუ იმ ორგანიზაციის საქმიანობის შეფასების განმსაზღვრელი ფაქტორი. ბოლო წლები საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის მშრომელთა წერილებსა და განცხადებებზე მუშაობის ორგანიზაციისადმი, საზოგადოებრივი აზრის, მოსახლეობის მოთხოვნილებების შესწავლისადმი სისტემური, კომპლექსური მიდგომის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა.

ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე პარტიის XXVI ყრილობის მოთხოვნილებათა შესაბამისად მუშაობის წარმართვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება 1984 წლის ივლისში გამართულ რესპუბლიკური პარტიული აქტივის კრებას, რომელმაც განიხილა და დასახა მშრომელთა წერილებისა და განცხადებების დროული და ხარისხიანი განხილვისათვის რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებანი. კრების მონაწილეებმა განაცხადეს: კი არ ველოდოთ მიმართვის შემოსვლას, არამედ აქტიურად ვსწავლობდეთ საზოგადოებრივ აზრს, ადამიანთა განწყობილებას, უფრო ხშირად ვხვდებოდეთ შრომით კოლექტივებს, რათა არ მივიყვანოთ საქმე კონფლიქტებამდე და საჩივრებამდე. მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია ნიადაგ უნდა გრძნობდნენ, რომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს აინტერესებთ ადამიანთა ცხოვრება და თავიანთ მუშაობას წარმართავენ მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

და აი, არჩევნებისწინა პერიოდში ჩვენს რესპუბლიკაში მოეწყო „ერთიანი ღია წერილის დღე“. შრომით კოლექტივებში და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას გაიმართა შეხვედრები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებთან და წევრობის კანდიდატებთან, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრებთან, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებთან, რესპუბლიკური სამინისტროების და უწყებების ხელმძღვანელებთან, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებთან. საქართველოს კომპარტიის საქმიანობაში ეს არის ერთ-ერთი ახალი ფორმა, რომელიც შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივი აზრის, მასების გუნება-განწყობილების უკეთ შესწავლასა და გათვალისწინებას.

ღია წერილის დღემ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საქართველოს მშრომელები მხარს უჭერენ რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის გაშლილ მუშაობას, ამასთანავე მოითხოვენ ჩვენი ცხოვრებისათვის მიუღებელ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის გამკაცრებას.

ამომრჩევლებთან შეხვედრაზე გამოსვლისას ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ განაცხადა: სამწუხაროდ, მიუხედავად ამ ბოლო დროს განხორციელებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგებისა, სოციალისტური მართლწესრიგისა და დისციპლინის განმტკიცების საქმეში მრავალი პრობლემა ჭირჭირობით გადაუწყვეტელი რჩება, რაც ადამიანთა სამართლიან შეშფოთებას იწვევს. ამის გამოხატულება იყო გუშინ ეგრეთ წოდებულ „ღია წერილის დღეზე“ ჩემ მიერ ამ საკითხზე მიღებული წერილების სიჭარბე. ასეთი წერილები მოსდით პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ პატიოსანი ადამიანები — მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის აბსოლუტური უმრავლესობა მოითხოვს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრებასა და გააქტიურებას. ხალხი მოითხოვს წესრიგს და ჩვენ ყველანი, უპირველესად კომუნისტები, ხელმძღვანელი მუშაკები, დეპუტატები მოვალენი ვართ დავუმკვიდროთ ასეთი წესრიგი ჩვენს ხალხს, უზრუნველვყოთ პატიოსნებისა და სამართლიანობის ჭეშმარიტი ზეიმი.

შარშანდელი სარედაქციო ფოსტის განხილვამ, რესპუბლიკის ოცდაათამდე რაიონში და შრომით კოლექტივებში „კომუნისტის“ მკითხველთა კონფერენციებისა და გასვლითი მიღების მოწყობამ, რედაქციის საზოგადოებრივ მისაღებში მოსული ადამიანების მომართვებმა მდიდარი მასალები დააგროვა საზოგადოებრივი აზრის შესწავლის თვალსაზრისით. რედაქცია მათ გამოიყენებს შემდგომ მუშაობაში. მრავალ წინადადებასთან, სურვილსა და მოსაზრებასთან ერთად მიღებულია ათასობით განცხადება და საჩივარი, რომელთა ხვედრითი წილი სარედაქციო ფოსტაში ჯერ კიდევ დიდია. ეს განცხადებები მეტყველებს, რომ ბევრგან ისევ ვერ ახერხებენ მშრომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ვერ აძლევენ მათ აღძრულ საკითხებზე დამარწმუნებელ პასუხს. წერილებში გამოთქმულია უკმაყოფილება ადმინისტრაციული ორგანოების, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, საბინაო კომუნალური მეურნეობის სამსახურების მუშაობის, საბინაო ფონდის უკანონო განაწილებისა და უხარისხო მშენებლობის გამო... ხშირად მარტივი, ადვილად გადასაწყვეტი საკითხი ისეა გაზვიადებული, რომ მოქალაქე იძულებულია სიმართლის საძებნელად მრავალი შემდგომი ინსტანცია მოიაროს. და ეს ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილზე გულგრილად, უყურადღებოდ მოეკიდნენ მისთვის საჭირო საქმის გადაწყვეტას.

„ჩვენი საამქრო მწყობრში ჩადგა 1980 წელს და დღემდე საამქროს შემოსასვლელი გზა არ ელირსა. ქარხნის ადმინისტრაციის გულგრილობის გამო ქარხანას აქვს ორი შემოსასვლელი, ჩვენთვის ისინი მოუხერხებელია. საამქროს ამუშავების დღიდან გვპირდებოდნენ ახალი შემოსასვლელის გახსნას, რომელსაც ამ ბოლო ხანს დაადგა საშველი, მაგრამ რა გამოვიდა: თუ ძველიდან წვიმიან ამინდში გვჭირდა შემოსვლა, აქედან მშრალ ამინდშიც ვერ მივდივართ საამქრომდე, ისეა გადათხრილი (აბა, წარმოიდგინეთ, აქ გავლა ღამის საათებში, როცა განათებაც არ არის). ოთხი წელიწადი ვითხოვდით, რომ ახალი შემოსასვლელი გაეხსნათ, გზის გაკეთებასაც ოთხი წელი რომ არ დასჭირდეს, ამიტომ მოგმართავთ დახმარებისათვის“, — გვწერენ ქალაქ რუსთავის საწარმო გაერთიანება „აზოტის“ № 8 ამიაკის სინთეზის საამქროს მშრომელები. რა თქმა უნდა, გაერთიანების ხელმძღვანელობას ოდნავ ყურადღება რომ მიექცია საამქროს მშრომელთა კანონიერი მოთხოვნისათვის, შეიძლება ეს ადვილად მოსაგვარებელი საქმე არ გაჭიანურებულიყო და თავიანთი შრომის პირობების მოსაგვარებლად ქიმიკოსებს არც დასჭირვებოდათ რედაქციისათვის წერილის გამოგზავნა.

„სოფელი აფენი რაიონის ცენტრიდან 25 კილომეტრზე მდებარეობს. სოფლის ცენტრი წარმოადგენს ფართო გზაჯვარედინს, სადაც ბევრი საწარმო-დაწესებულებაა განლაგებული. გზაჯვარედინის შუაში კი არის ძველთაძველი ჭაბურღილი, რომლის სადინარი გაჭედილია და წყალი ხშირად ოთხივე მხარეს იღვრება. ამიტომ სოფლის ეს ცენტრალური გზაჯვარედინი უმთავრესად დატბორილი და ჭუჭყიანია. აქვეა სასოფლო საბჭო, კოლმეურნეობის გამგეობა, კოოპერატივის გაერთიანების დირექცია, თამბაქოს მიმღები პუნქტი, ღვინის ქარხანა, ავტობუსების სადგური, მაგრამ არავის გული არ შესტკივა სოფლის ცენტრის ასეთი მდგომარეობის გამო. ჩვენ არავინ გვიგდებს ყურს, ამიტომ მოგმართავთ. იქნებ თქვენ მაინც მიუთითოთ და შეახსენოთ, რომ სოფლის ცენტრს მოვლა და პატრონობა სჭირდება“. — გვწერენ ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენის მცხოვრებნი.

ასეთი სახის წერილებს ხშირად იღებს რედაქცია. მათში როგორც პირადი, ისე საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებია აღძრული. გვწერენ იმიტომ, რომ ადგილზე ამ საკითხების მოგვარება არავინ ისურვა, მეორეხარისხოვან საქმედ მიიჩნია. სხვა რომ არა იყოს რა, სათანადო შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა ხომ აუცილებელი პირობაა მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მისაღწევად.

როგორც ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თქვა, „დადგა დრო, როცა ჩვენ მარტო სიტყვით კი არა, საქმითაც უნდა გვაინტერესებდეს თითოეულის ბედი, გვაინტერესებდეს თითოეულის ცხოვრების წესი, გვაინტერესებდეს ის, თუ რას ქმნის, რას აკეთებს თითოეული საზოგადოების სასარგებლოდ, თავისი ოჯახის ავტორიტეტის ასამაღლებლად, მისი, როგორც პიროვნების, სრულყოფისა და სრულქმნისათვის. ახლა ჩვენ გვაქვს ამგვარი მუშაობის რეალური საფუძველი, გვაქვს საამისო გამოცდილებაც, ძალზე მდიდარი და სერიოზული გამოცდილება“.

ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის მოგვარებაში გადამწყვეტი როლი პარტიულ კომიტეტებს, საბჭოთა ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეკისრებათ. წერილებზე მუშაობის სრულყოფა თითოეული ხელმძღვანელის უპირველესი მოვალეობაა. მშრომელთა წერილებში აღძრული საკითხების მოგვარებისათვის ზრუნვა დიდი პარტიული და სახელმწიფოებრივი საქმეა.

რასაც დასთეს, იმას მოიმკი

სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

მიწათმოქმედი ოდითგანვე ხელმძღვანელობს ხალხური სიბრძნით: „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“. მეცნიერება და პრაქტიკა ადასტურებს, რომ მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის ახლანდელ ეტაპზე კიდევ უფრო გაიზარდა მაღალი კლასის თესლის მნიშვნელობა: კარგად მოგვარებული მეთესლეობა 20 პროცენტამდე ზრდის მოსავალს.

სწორედ ამის გათვალისწინებით მუშაობენ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებანი. რესპუბლიკაში თებერვლის პირველ დეკადაში მოამზადეს საგაზაფხულო სამარცვლე და სამარცვლე პარკოსანი კულტურების (სიმინდის გარდა) 16,6 ათასი ტონა კონდიციური თესლი, გეგმით გათვალისწინებული 13.4 ათასი ტონის ნაცვლად.

მიმდინარე სეზონში მეთესლეობის პრობლემა წარმატებით გადაჭრეს ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ქარელის, გურჯაანის, წითელწყაროს, მთელი რიგი სხვა რაიონების მეურნეობებმა.

სამარცვლე და სამარცვლე პარკოსანი კულტურების თესლის ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიუხედავად, ნაკლოვანებანია მზესუმზირას და სოიის თესლით მეურნეობათა უზრუნველყოფის საქმეში. ჩამორჩებიან სამტრედიის, ორჯონიკიძის, გეგეჭკორისა და სხვა რაიონები, ქალაქების წყალტუბოსა და ტყიბულის ზონები, ამ კულტურების თესვის გეგმის შესრულებისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დამატებით გამოუყვეს 550 ტონა სოიის თესლი, მათ შორის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის“ მეურნეობებიდან — 300 ტონა, უგილობრივი სახელმწიფო რესურსებიდან 250 ტონა, 200 ტონა მზესუმზირას თესლი რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოიტანეს.

საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მნიშვნელობა აქვს მეურნეობების უზრუნველყოფას მინერალური სასუქებით. 1985 წლის მოსავლისათვის საზოგადოებრივი მეურნეობები მიიღებენ 270 ათას ტონა მინერალურ სასუქს — 49 ათასი ტონით მეტს შარშანდელთან შედარებით. ეს მთლიანად დააკმაყოფილებს მათს მოთხოვნილებას. მაგრამ საჭიროა დაჩქარდეს მეურნეობებისათვის სასუქების მიწოდების ტემპი.

საქმის ასეთი ვითარება სოფლის მშრომელების წინაშე ფართო შესაძლებლობებს სახავს საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა მთელი კომპლექსის სწრაფად და მაღალხარისხოვნად დამთავრებისათვის.

ლიმონარიუმი საკარმიდამო ნაკვეთებში

აფხაზეთის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს ახალი პარტნიორები გაუჩნდა. ესენი არიან ინდივიდუალური ციტრუსის ბაღების მფლობელები, რომლებსაც კოოპერაციის წესით მოჰყავთ ლიმონი კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ერთად. ამრიგად ავტონომიურ რესპუბლიკაში ლიმონის პლანტაციების საერთო ფართობი გაიზარდა 300 ჰექტარით და მეტად.

ყურადღებითა და ზრუნვით ეკიდებიან მათს საჭიროებებს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საზოგადოებრივი მეურნეობები და სპეციალისტები. მიმდინარე წელს ინდივიდუალური ციტრუსის ბაღების მფლობელებს გამოეყოთ მსუბუქი ლითონის კარკასები და უქსოვი ფართალი „ციტრუსი“ ზამთრობით ლიმონის ნარგავების შესაფუთავად.

1984 წელს ავტონომიურ რესპუბლიკაში დამზადებული ლიმონის საერთო რაოდენობიდან ნახევარზე მეტი საკარმიდამო ნაკვეთების წილად მოდის.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

26 თებერვალს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა. იგი გახსნა ამ კომისიის თავმჯდომარემ, თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატმა გ. ს. გაჩეჩილაძემ.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგებზე ინფორმაცია გააკეთა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანმა ქ. ქ. შარტავამ. მან თქვა, რომ არჩევნებმა, ისე როგორც მთელმა საარჩევნო კამპანიამ, რესპუბლიკაში ჩაიარა მასების მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის, პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ვითარებაში და სავსებით შეესაბამებოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონს.

რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები ყველგან გადაიქცა სახალხო ხელისუფლების ნამდვილ დღესასწაულად, ახალი ძალით დაადასტურა სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვება, პარტიისა და ხალხის მონოლითური ერთიანობა. უდიდესი ენთუზიაზმით აღიქვეს და მოიწონეს რა მოსკოვის კუიბიშევის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს წინასაარჩევნო სიტყვა, რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს, მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ბრძნულ ლენინურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ხალხის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 99,99 პროცენტი, დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა. საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შრომითი კოლექტივების მიერ დასახელებული ოთხასივე დეპუტატობის კანდიდატმა მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და არჩეულია საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

სხდომაზე გამოვიდნენ კომისიის წევრები ნ. ვ. გურგენიძე, ე. ა. სეხნიაშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშქარაშვილი.

დასასრულ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გ. ს. გაჩეჩილაძემ მადლობა გადაუხადა მის ყველა წევრს მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე არჩევნების მომზადებისა და მოწყობისათვის აქტიური მუშაობის გამო და გამოაცხადა, რომ არჩევნების დამთავრებასთან დაკავშირებით კომისია დამთავრებულად ცნობს თავის საქმიანობას და იხსნის უფლებამოსილებას. (საქინფორმი).

რობოტი ქარხანაში

ფოტო-რეპორტაჟი





თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვასა“ და მის წამყვან საწარმოში — გამომთვლელი მანქანების ქარხანაში უკანასკნელ ხანს მრავალი ტექნიკური სიახლე გაჩნდა. ისინი დიდად უწყობენ ხელს შრომის ინტენსიფიკაციას, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებას.

აქ შექმნილია რობოტების დანერგვის სპეციალური განყოფილება.

აი, რა გვიამბო განყოფილების ხელმძღვანელმა ფ. სპარსიაშვილმა:

— ჩვენი მთავარი საზრუნავია წარმოების იმ უბნების გამოვლენა, სადაც რობოტებისა და მანიპულატორების გამოყენება ყველაზე თვალსაჩინო ეფექტს მოგვცემს.

ჩვენი საწარმოს საამქროებში უკვე დანერგილია სხვადასხვა სახეობის რობოტ-ტექნიკური კომპლექსი, რის შედეგად დღემდე ათასობით მანეთზე მეტი დავზოგეთ.

კომპლექსები ჩინებულად მუშაობენ, თუმცა მათი საათობრივი მწარმოებლობა ჯერ ისეთი ვერ არის, როგორიც კვალიფიციური მუშისა, მაგრამ, სამაგიეროდ, იზოგება დრო, რომელიც მუშებს ერთი ცვლიდან მეორე ცვლაში გადასვლისას სჭირდებათ. რობოტისათვის, ცხადია, ასეთი რამ სრულიად ზედმეტია. იგი ამ დროსაც ჩვეულებრივ განაგრძობს მუშაობას, ამიტომაც სადღეღამისო შრომის ნაყოფიერებითა და გამოშვებული ნაწარმის ხარისხით სჯობს კიდეც მუშებს. და კიდევ: რაც მთავარია, რობოტებმა ადამიანები შეცვალეს ყველაზე მძიმე, არაპრესტიჟულ სამუშაოებზე.

სურათებზე: მარცხნივ, ზემოთ — საამწყობო საამქროს რადიოელემენტების მოკალვის რობოტიზებულ კომპლექსთან; ქვემოთ — რობოტების გამმართველი ა. ცვეტკოვი; მარჯვნივ — გამომთვლელი მანქანების დეტალების დამამზადებელი რობოტ-ტექნოლოგიური კომპლექსი.

ს. კილაძის ტექსტი და ფოტო.

ვ. ი. ლენინის რჩეული თხზულებანი

გამოვიდა ვ. ი. ლენინის რჩეულ თხზულებათა ათტომეულის მესამე ტომი. ტომში შეტანილია 1901 წლის მაის-1904 წლის მაისში დაწერილი ნაშრომები.

ეს ნაწარმოებები ასახავენ ბელადის მოღვაწეობას რუსეთის [illegible] „რით დავიწყოთ?“, რომელიც 1901 წლის მაისშია დაწერილი. ამ სტატიაში ვ. ი. ლენინი ამუშავებს რუსეთის მარქსისტული პარტიის შექმნის კონკრეტულ გეგმას, სტატიის ძირითადი დებულებები დაწვრილებით არის [illegible] დევ 90-იან წლებში დაიწყო. დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია რსდმპ II ყრილობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს. მესამე ტომში დაბეჭდილი ნაწარმოებები გამსჭვალულია უსაზღვრო ოპტიმიზმით და კარსმომდგა[illegible]

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ზრდის უმთავრესი რეზერვი

ყოველი საქმის წარმატებას ადამიანები წყვეტენ, იქნება ეს დიდი ინდუსტრიული ცენტრის სამრეწველო საწარმოების მუშაობის გარდაქმნა, აგროსამრეწველო კომპლექსში შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმის დანერგვა თუ დედაქალაქის მეტროპოლიტენის ახალი ობიექტებისა და ნაგებობათა დაჩქარებული ამოქმედება. ეს კანონზომიერება დამაჯერებლად ასახეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კადრებთან მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს მორიგი სხდომის დღის წესრიგმა და მთელმა მიმდინარეობამ.

საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე.

მოისმინა რა ხელმძღვანელი კადრების რეზერვთან მუშაობის შესახებ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ინფორმაცია, საბჭომ აღნიშნა, რომ საქალაქო კომიტეტი სრულყოფს კვალიფიციური, კომპეტენტური მუშაკების შერჩევისა და განაწილების პრაქტიკას, ახორციელებს ამ მუშაკებით სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ უბნის განმტკიცების ღონისძიებებს.

სისტემატურად უმჯობესდება ხელმძღვანელი კადრების თვისებრივი შემადგენლობა. დიდი ყურადღება ეთმობა მათს რეზერვს, რომელიც იზრდება სპეციალისტების მომზადების დონის ამაღლების კვალობაზე. რეზერვში შესაყვან კანდიდატურებს განიხი[illegible]

[illegible] იონის აგროსამრეწველო კომპლექსის კადრებთან მუშაობას. რაიკომთან შექმნილია აგროსამრეწველო კომპლექსისა და ადმინისტრაციული ორგანოებისათვის, რაიონის ახალი წარმოებებისა და საწარმოებისათვის კადრების შერჩევის საბჭო, სამუშაო ჯგუფები, მოქმედებს პარტიულ-სამეურნეო აქტივის სკოლა, შემუშავებულია კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის მწყობრი სისტემა. ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა შექმნილიყო ინიციატივიანი ხელმძღვანელი მუშაკების შედარებით სტაბილური და მცოდნე რგოლი.

რაიონში ბევრი რამ კეთდება შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის დანერგვისათვის. ჩამოყალიბებულია სამეურნეო მართვის ახალი სტრუქტურა — საწარმოო-ეკონომიკური კომპლექსები. სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საწარმოო რგოლების შექმნა, რომლებიც ხელს უწყობენ შრომითი აღზრდის, კვალიფიციური მუშებისა და შრომითი კოლექტივების შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესის სრულყოფას, ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის ქმედითობას.

საბჭომ მთლიანად მოიწონა კადრებთან დმანისის რაიკომის მუშაობა და აღნიშნა არსებული ხარვეზები და ნაკლოვანებები. კერძოდ, დმანისის რაიკომს რეკომენდაცია მიეცა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროს კვალიფიციური სპეციალისტებით საწარმოო რგოლის განმტკიცებას, უმაღლესი სასწავლებლე[illegible]

[illegible]

(დასასრული 3-ე გვ.).

გვესაუბრება მინისტრი

მშენებლობას ერთი პატრონი ჰყავს

მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის ორი საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს ერთ სამინისტროდ გაერთიანება საშუალებას იძლევა უფრო რაციონალურად გამოიყენონ გამოყოფილი ფონდები, უფრო მოქნილად მოახდინონ რესურსების მანევრირება, არსებითად შეამცირონ დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა.

თუ რა მოგვცა უკვე ორი სამინისტროს დარგის მართვის ერთ რესპუბლიკურ ორგანოდ გაერთიანებამ, საქინფორმის კორესპონდენტის ა. კოკაიას თხოვნით გვიამბობს რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრი ი. ა. ხარატიშვილი.

— სამშენებლო კონვეიერი ნიადაგ ვითარდება და უმჯობესდება, — თქვა მინისტრმა. — იზრდება ახალმშენებლობათა ნუსხა და მათი გეოგრაფია. მარტო მიმდინარე წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა ისეთი ობიექტები, როგორიც არის რუსთავის საწარმოო გაერთიანებების „აზოტისა“ და „ქიმბოჭკოს“, „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის“ საწარმოო გაერთიანების, თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების, თელავის ღვინის ქარხნის, კინდღის სასათბურო კომბინატის ახალი სიმძლავრეები. აშენდა მილიონ 185 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც დავალებასთან შედარებით გაცილებით მეტია.

ბევრია გასაკეთებელი უახლოეს ხანშიც. რესპუბლიკის ინდუსტრიულ რუკაზე მალე გაჩნდება ქუთაისის მოტობლოკების ქარხანა, ახალქალაქის ბაგირგზების მოწყობილობის ქარხანა, სხვა მნიშვნელოვანი საწარმოები. ამჟამად სამინისტრო, რომლის შემადგენლობაში შევიდა დიდი სიმძლავრეები, სოფლის მშენებლებს რომ ჰქონდათ, პასუხისმგებელია სასურსათო პროგრამით გათვალისწინებული ახალმშენებლობებისთვისაც, რესპუბლიკური კომპლექსის საწარმოო პოტენციალის გადიდებისთვისაც. მწყობრში ჩადგება საკონსერვო, ჩაის, ღვინის მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები, ახალი ფერმები, სასათბურე მეურნეობები. სამინისტროს ფარგლებში შეიქმნა აგროსამრეწველო ობიექტების მშენებლობის ახალი მთავარი საწარმოო-ტერიტორიული სამმართველო, რომლის კომპეტენციაშიც შედის დაგეგმვის, [illegible]

ზრდის უმთავრესი რეზერვი

(დასასრული)

წლის XVII პლენუმის გადაწყვეტილებებს, პარტიული კომიტეტი თავის მეცადინეობას ახმარს წარმოებაში კადრების დამკვიდრებას, მათი დენადობის შემცირებას, მექანიზაციის დონის ამაღლებას, მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების უკეთესი პირობების შექმნას.

საბჭომ ამავე დროს აღნიშნა არსებული ნაკლოვანებანი და ხაზი გაუსვა, კერძოდ, რომ საკმარისი არ არის №154 პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულებთან აღმზრდელობითი მუშაობა და მათი პროფესიული ორგანიზაცია, პასიურობას იჩენს კომკავშირული ორგანიზაცია ახალგაზრდების წრიდან კადრების შერჩევაში. ყველა უბანსა და ობიექტზე ეფექტიანად არ ხორციელდება დამრიგებლობა.

საბჭომ „თბილისგვირაბმშენის" პარტიულ კომიტეტს რეკომენდაცია მისცა გააძლიეროს კონტროლი კადრებთან მუშაობისადმი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს კოლექტივების წევრთა შრომისა და დასვენების ორგანიზაციას, საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ქმედითი რეზერვის ჩამოყალიბებას. პარტიულმა კომიტეტმა უფრო საგნობრივად უნდა მოჰკიდოს ხელი შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების, კერძოდ, სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადების დანერგვას. წამყვანი ორგანიზაციების მაგალითით უნდა გადასინჯონ საწარმოო და სამმართველო აპარატის მუშაკთა თანაფარდობა, სერიოზულად გააანალიზონ საქმის ვითარება ამ დარგში.

საბჭომ დაამტკიცა „ცეკავშირისა" და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში კადრებთან მუშაობის სრულყოფის რეკომენდაციები.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები გ. ანდრონიკაშვილი, ჯ. პატიაშვილი, ო. ჩერქეზია, ქ. შარტავა, მთელი რიგი სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები.

სხდომის შედეგები შეაჯამა ამხანაგმა ე. შევარდნაძემ.

საბჭოს სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ლორთქიფანიძე.

(საქინფორმი).

ეკონომიკური პროცესების პროგნოზირება

მიმდინარეობს ექსპერიმენტი

ეკონომიკის მეცნიერების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საწარმოების დონეზე ხუთწლიანი გეგმების შედგენის მეთოდიკისა და მეთოდოლოგიის სრულყოფა. მხოლოდ ორმა მეცნიერულად დასაბუთებული გეგმებისა და თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით უნდა მივაღწიოთ დიდ ეკონომიკურ ეფექტს. ამ პრობლემების გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც მშრომელთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება კომუნისტური პარტიის უპირველესი საზრუნავია.

დღეისათვის, განვითარებული გამოთვლითი ტექნიკის პირობებში, როდესაც გასაანალიზებელი მაჩვენებლების ცვლილება განიხილება როგორც შემთხვევითი პროცესები, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირება ეკონომიკური ანალიზის ერთ-ერთი მთავარი იარაღია.

ეკონომიკური ანალიზის ადრე არსებული მეთოდები თანამედროვე პირობებში აღარ არის საკმარისი ეკონომიკის შემდგომი სრულყოფისათვის. წინა პლანზე წამოიწია სამეურნეო საქმიანობის პერსპექტიულმა ეკონომიკურმა ანალიზმა, მისი მეთოდების გამოყენებამ. სასაქონლო პროდუქციის წარმოების დანახარჯების, თვითღირებულებისა და მოგების გეგმების შესრულების მართვის, ანალიზისა და კონტროლის სისტემების შექმნა წარმოუდგენელია პერსპექტიული ანალიზის საკითხების გამოუყენებლად. ასევე უნდა ითქვას სამეურნეო საქმიანობის პროგნოზირებაზე, პერსპექტიული გეგმების მეცნიერულ დასაბუთებასა და გეგმის მოსალოდნელი შესრულების შეფასებაზე.

ამ მიზნით საჭიროა გამოვიკვლიოთ და ავაგოთ მოგების, თვითღირებულებისა და დანახარჯების გეგმების შესრულების წინასწრები კონტროლის, პროგნოზირებისა და მართვის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი იმ ფაქტორების გამოყოფით, რომლებიც გადამწყვეტ გავლენას ახდენენ მათს ფორმირებაზე.

ამ მოდელების საფუძველზე უნდა დამუშავდეს ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებისათვის ალგორითმები და პროგრამები, რომლებიც მოგვცემენ აღნიშნული და კიდევ სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზირების საშუალებას.

როგორც მეცნიერულმა კვლევამ გვიჩვენა, პრაქტიკულად წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ მათემატიკური მოდელირება ისეთი ეკონომიკური შემთხვევითი პროცესების პროგნოზირებისა და მართვის სისტემის შემდგომი სრულყოფისათვის, როგორიც არის მოგება, თვითღირებულება, შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტში და სხვ. ამ პრობლემების პრაქტიკულ გადაჭრას დიდი ყურადღება მიაქცია ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ 1984 წლის სექტემბერში გამართულ რესპუბლიკურ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.

დამუშავებული მოდელი საფუძველს გვაძლევს განვახორციელოთ ფინანსების პერსპექტიული დაგეგმვა. როგორც ცნობილია, დგება სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმები, მაგრამ არ დგება ბიუჯეტის პერსპექტიული ხუთწლიანი გეგმები, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ სიძნელეებს უქმნის სახალხო მეურნეობის დაფინანსებას. კომუნისტური პარტია დღევანდელ პირობებში მტკიცედ მოითხოვს ფინანსების დარგში პერსპექტიული გეგმების შედგენას, რისთვისაც აუცილებელია განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლისა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების ეკონომიკური ანალიზი და პროგნოზი. ჩვენ მიერ შემუშავებული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის საფუძველზე შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლის პროგნოზირება, რაც საშუალებას მისცემს სათანადო ორგანოებს განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებანი შემოსავლის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

საჭიროა ძირეულად შეიცვალოს საწარმოების, გაერთიანებების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა დამოკიდებულება მოგების იმ ფაქტორებისადმი, რომლებზეც დამოკიდებულია თვით მოგების წარმოქმნა. მოგების გეგმების შეუსრულებლობისათვის ისევე მკაცრად უნდა მოვკითხოთ, როგორც, ვთქვათ, წარმოების მოცულობის მაჩვენებლების, მიწოდების ვალდებულებებისა და სხვა დავალებების შეუსრულებლობისათვის. თვითღირებულებისა და მოგების გეგმის შესრულების პროცესის პროგნოზირებისა და მართვის შესაძლებლობის მეცნიერული დასაბუთება შევიდა ძირითად ეკონომიკურ ექსპერიმენტთა რიცხვში.

შემუშავებული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ მოგებისა და თვითღირებულების გეგმების შესრულების ეფექტიანი უპირატესი კონტროლი იმ ფაქტორების გამოყოფით, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს მათ წარმოქმნაზე.

თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატში მიმდინარეობს ეკონომიკური ექსპერიმენტი, რომელშიც წინა პლანზეა წამოწეული მოგებასთან დაკავშირებული მაჩვენებელი. ჩვენ მიერ შემუშავებული მათემატიკური მოდელის საფუძველზე წინასწარ, სამი თვით ადრე ვუჩვენეთ, რომ 1984 წლის მეოთხე კვარტალის რეალიზაციიდან მოგების პროგნოზი შეადგენს 655,8 ათას მანეთს დაგეგმილი 670 ათასი მანეთის ნაცვლად. ფაქტობრივად მოგებამ 658 ათასი მანეთი შეადგინა. საწარმოს აღმოაჩნდა მოგების ზრდის დამატებითი რეზერვი — 237 ათასი მანეთი საწარმოო თვითღირებულების ცვლილებების ხარჯზე. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების პირობითი რეზერვი შეადგენს 0,21 კაპიკს, რაც ძირითადად პროდუქციის სტრუქტურისა და ასორტიმენტის ცვლილებებით არის გამოწვეული.

ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაზე შედგენილია სპეციალური ცხრილი (მანქანაგრამა), სადაც ერთი კვარტალით ადრეა ნაჩვენები მოგებისა და თვითღირებულების გეგმის შესრულების პროგნოზი და ის ძირითადი რეზერვები, რომლებიც სამინისტროს ან საწარმოს აქვს გეგმის შესრულების თუ მისი გადაჭარბებით შესრულებისათვის. შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოებს ოპერატიული კონტროლის განხორციელებაში ეხმარება მანქანაგრამები.

ნელა ინერგება პრაქტიკაში ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდები, ხარვეზებია დაშვებული მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნაში. მოქმედებს ტექნოლოგიური პროცესებისა თუ საწარმოებისათვის შექმნილი უამრავი მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომლებიც თითქმის არ ითვალისწინებენ მიმდინარე რთული ეკონომიკური პროცესების მოდელირებისა და მართვის სისტემების შექმნას. ძალზე დაბალია სამინისტროებისა და საწარმოების მომზადების დონე მართვის ავტომატიზებული სისტემების დასანერგავად, დაბალია არსებული ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების მუშაობის საიმედოობა და მომსახურების დონე, არ ექცევა ყურადღება კარგი შედეგიანი მართვის ავტომატიზებული სისტემების ავტორთა სტიმულირებას, გართულებულია „შემქმნელსა" და „მომხმარებელს" შორის საერთო ენის გამონახვა და სხვა.

დადგა დრო, რომ სამინისტროებისა და უწყებების მუშაობის კრიტერიუმად მათი საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობის ავკარგიანობასთან ერთად მივიჩნიოთ მეცნიერული სიახლეების პრაქტიკული დანერგვა და მათგან მიღებული ეკონომიკური ეფექტი. უნდა გაუმჯობესდეს იმ კადრების მომზადება, რომლებიც მოვალენი არიან იცოდნენ ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების თანამედროვე მეთოდები, მზად იყვნენ პრაქტიკულად გამოიყენონ გამოთვლითი ტექნიკის საშუალებები.

დღეს ჩვენი რესპუბლიკა კავშირის მასშტაბით ეკონომიკური ექსპერიმენტების პოლიგონი გახდა. ამიტომ მათემატიკურ მოდელირებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ექსპერიმენტების მეცნიერული დასაბუთებისა და საბოლოო ეკონომიკური შედეგების პროგნოზირებისათვის.

ო. პეტრიაშვილი,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ითესება საადრეო კარტოფილი

საქართველოს მეკარტოფილეები შეუდგნენ საადრეო კარტოფილის თესვას.

მარნეულის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „გამარჯვების" მინდვრებში მექანიზატორები კარგ ამინდში კარტოფილის სათესი მანქანებით გავიდნენ. კარტოფილი საბჭოთა მეურნეობაში 450 ჰექტარ ფართობზე დაითესება. გეგმით გათვალისწინებული 5.400 ტონის ნაცვლად მიწათმოქმედებს განზრახული აქვთ ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 6.750 ტონა კარტოფილი.

გვესაუბრება საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ოსმან ჩოხანოვი: კარტოფილს ვთესავთ 10-12 სანტიმეტრ სიღრმეზე, რაც საიმედოდ დაიცავს თესლს ყინვისაგან. მეკარტოფილეებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უხვი მოსავალი მოიწიონ.

საერთოდ რესპუბლიკაში საადრეო კარტოფილი 2.000 ჰექტარ ფართობზე დაითესა. ახლა თესვა შეჩერდა, მაგრამ გამოდარებისთანავე განახლდება.

სურათზე: თესავენ კარტოფილს მარნეულის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „გამარჯვებაში".

შ. აივაზოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ოფიციალური განყოფილება

1985 წლის საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის მზადების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „1985 წლის საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის მზადებისა და მათი მოწყობის დამატებით ღონისძიებათა შესახებ".

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს; ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს და აგროსამრეწველო გაერთიანებებს დასახული აქვთ ამოცანა იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. კ. უ. ჩერნენკოს მითითებებით და უზრუნველყონ 1985 წლის საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების ორგანიზებულად და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე მოწყობა. ამასთან დაკავშირებით ისინი ვალდებული არიან:

განახორციელონ მაღალხარისხოვანი თესლითა და სანერგე მასალით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სრული უზრუნველყოფა, მანქანა-ტრაქტორების პარკის მუშაობისა და მექანიზატორთა კადრებით მეურნეობების დაკომპლექტებისათვის მომზადების დროული დამთავრების დამატებითი ღონისძიებანი.

დროულად დაამთავრონ სამელიორაციო ქსელებისა და ნაგებობების სარემონტო და საწმენდი სამუშაოები, საწვიმებელი და სარწყავი მანქანების, სატუმბ-ძალური მოწყობილობის შეკეთება; უზრუნველყონ სოფლის მეურნეობისათვის ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქების, საწვავ-საპოხი და სხვა მასალების მიწოდების დადგენილ დავალებათა უთუო შესრულება. გამონახონ საგაზაფხულო თესვისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საჭიროებებისათვის გამოყოფილი ფონდების ანგარიშში მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა მიწოდების დაჩქარების დამატებითი შესაძლებლობანი;

განახორციელონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სარწყავი და დამრობილი მიწების, მანქანა-ტრაქტორების პარკის, ორგანული და მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებებისა და სხვა მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებანი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა; სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ხილბოსტნეულის სამინისტრომ, სსრ კავშირის წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ და სსრ კავშირის სახსოფლტექნიკამ უნდა უზრუნველყონ საჭირო ტექნიკის, თესლის, სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გამოყოფა მეურნეობებისათვის, რომლებსაც ინდუსტრიული და ინტენსიური ტექნოლოგიებით მოჰყავთ სასოფლო-სამეურნეო კულტურები, აგრეთვე აპროგრამებენ მოსავალს სარწყავ მიწებზე, გარდა ამისა მინდვრის სამუშაოების დაწყებამდე ფართოდ გაშალონ მექანიზატორებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის ამ ტექნოლოგიებით სასოფლო სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის ხერხების სწავლება.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს და აგროსამრეწველო გაერთიანებებს ევალებათ განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი, რათა დააჩქარონ მეურნეობებში საწვავ-საპოხი მასალების მიტანა იმ მიზნით, რომ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების დაწყებამდე თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შექმნან ნავთობპროდუქტების საჭირო მარაგი, განახორციელონ საწვავ-საპოხი მასალების აღრიცხვის გაუმჯობესების, მათი ყაირათიანი ხარჯვისა და დანაკარგების ლიკვიდაციის კონკრეტული ღონისძიებანი; გადაჭრით აღკვეთონ ნავთობპროდუქტების განიავებისა და არადანიშნულებისამებრ მათი გამოყენების ფაქტები.

დადგენილია პირველ კვარტალში სოფლისა და წყალთა მეურნეობის საჭიროებებისათვის სათადარიგო ნაწილების, ავტოსატრაქტორო ელექტრომოწყობილობის, რეზინტექნიკური ნაწარმის, გორგოლაჭ-მილისის ჯაჭვების, საკისრების დაჩქარებული (20 მარტამდე) მიწოდების უზრუნველყოფის დავალებანი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში სათადარიგო ნაწილების თანაბარზომიერი მიწოდების საჭიროებას.

სამრეწველო საწარმოებს დადგენილი აქვთ აგრეთვე ტრაქტორების, ავტომობილებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების, მოწყობილობის, მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაწარმის დამატებითი დამზადებისა და სოფლის მეურნეობისათვის მიწოდების დავალებანი.

1985 წლისათვის გამონაკლისის სახით შენარჩუნებულია კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, რომლებსაც მექანიზატორები ჰყავთ, სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან მემანქანე ტრაქტორისტთა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებში ჩაბმის წესი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ვალდებული არიან გაზარდონ მომთხოვნელობა რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების, აგროსამრეწველო გაერთიანებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებისადმი და აამაღლონ მათი პერსონალური პასუხისმგებლობა საგაზაფხულო თესვის დროული მომზადებისა და წარმატებით მოწყობისათვის.

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტს დაევალა კონტროლი დაუწესოს შესრულებას.

გული რომ გულობდეს...

ბოსტნეული მთაში

არავის მიაქვს

აჭარის მაღალმთიან რაიონებსა და სოფლებში კეთილმოწყობილი გზაც არის, ცისფერი ეკრანიც ამუშავდა, სხვა მრავალი სიკეთითაც სარგებლობენ. მაგრამ ბართან შედარებით ჯერ უამრავი პრობლემაა გადასაჭრელი და მოსაგვარებელი. ამჯერად მომარაგებაზე გვინდა ვილაპარაკოთ.

ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონულ ცენტრებსა და დაბებში საწარმოებსა და დაწესებულებებში, დასაქმებულია ათასობით ადამიანი, რომელთაც საკარმიდამო ნაკვეთები არა აქვთ. ამიტომ ბუნებრივად ისმება კითხვა: რაიონულ ცენტრებში, დიდ დასახლებებში როგორ მარაგდება მოსახლეობა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით? ხელმისაწვდომად აქვთ ხორცი, ხილი, მწვანილი?

რაიონულ ცენტრებში არის ბაზრები, თუ მისი მსგავსი რაღაც ფარდულები, მაგრამ ისინი ყოველდღე როდია ღია. ბაზარში ხელმძღვანელობა მხოლოდ უქმე დღეებშია. ხილბოსტნეული, საერთოდ, გაცილებით ნაკლები შეაქვთ გასაყიდად, ვიდრე საჭიროა. მთაში როცა ავტობუსით წავსულვარ, მინახავს კალათებითა და ტომრებით დატვირთული მგზავრები, რომელთაც ბათუმის ბაზრიდან მიაქვთ მწვანილი, ხორცი, ხილი და სხვა პროდუქტები. მიაქვთ, რადგან მთაში ვერ უშოვიათ. კურიოზია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტები ქალაქიდან მიაქვთ სოფელში?

ვინ უნდა ამარაგებდეს მთის მოსახლეობას? ეს ფუნქცია დაკისრებული აქვს „აჭარკოოპკავშირსა" და ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს გაერთიანება „აჭარხილბოსტანვაჭრობას". როგორ ასრულებენ ისინი თავიანთ მოვალეობას? ამ კითხვებზე პასუხი მივიღეთ, როცა მათს მაღაზიებში შევედით. სამრეწველო საქონელსა და საკონდიტრო ნაწარმს უხვად ნახავთ, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე.

მოვიშველიოთ ფაქტები: ვესაუბრე „აჭარხილბოსტანვაჭრობის" გაერთიანების დირექტორს ზ. მგელაძეს. როგორც მან თქვა, ორგანიზაციას ხულოსა და ქედაში ჰქონდა ხილბოსტნეულის სპეციალიზებული მაღაზია, მაგრამ ორი წლის წინათ დაუხურავთ იმ მოტივით, რომ გეგმებს ვერ ასრულებდნენ, დანიშნულებას ვერ ამართლებდნენ. ერთი ცხადია, ალბათ ცუდად ამარაგებდნენ, თორემ თუკი პროდუქტებს უხვად მიიტანდნენ, რომელი ექიმი, მასწავლებელი, მკერავი ან ქარხნის მუშა იტყვის უარს სახელმწიფო ფასებში იყიდოს ახალი ხილი, ბაღჩეული და ბოსტნეული? ერთი კი ფაქტია, რომ ბარის რაიონების მოსახლეობა ყოველგვარი პროდუქტით გაცილებით უკეთ მარაგდება, ვიდრე მთისა.

ხულო ასი კილომეტრითაა დაშორებული ბათუმიდან. ალბათ ესეც უარყოფითად მოქმედებს პროდუქტებით შეუფერხებელ მომარაგებაზე, მაგრამ, როცა საქმე ადამიანზე ზრუნვას ეხება, მანძილი რა სათქმელია!

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ „აჭარხილბოსტანვაჭრობას" ხულოს რაიონიდან შესყიდვით მოაქვს ათასობით ტონა სხვადასხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტი — კარტოფილი, კომბოსტო, ხილი, პამიდორი, კიტრი და ა. შ. ნუთუ არ შეიძლება იმ პროდუქტებიდან ნაწილი მაინც გაყიდონ რაიონულ ცენტრებში?

საუბრის დროს გამოირკვა, რომ „აჭარხილბოსტანვაჭრობის" გაერთიანებაში გადაუწყვეტიათ ამ ხარვეზის გამოსწორება. სამისოდ ნაბიჯიც გადაუდგამთ: დაბა ხელვაჩაურში გახსნეს მეთაური მაღაზია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მთის მაღაზიებისათვის პროდუქტების გეგმაზომიერი მიწოდება. ახლა ისღა დარჩენილა, რომ რაიაღმასკომებმა მაღაზიების გასახსნელად დროულად შეარჩიონ ადგილი და გაერთიანებას ხელი შეუწყონ პროდუქტებით მოსახლეობის უკეთ მომარაგებაში.

აქვე უნდა დავძინოთ ისიც, რომ „აჭარხილბოსტანვაჭრობის" გაერთიანება კარგად ამარაგებს კურორტებსა და საბიუჯეტო ორგანიზაციებს. შარშან მათ 5 მილიონი მანეთის სხვადასხვა პროდუქტი შემოზიდეს. წელს უფრო დიდი გეგმები აქვთ დასახული.

სამრეწველო და სასურსათო საქონლით მთის რაიონების მთავარი მომმარაგებელია „აჭარკოოპკავშირი". სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაყიდად მათ რაიონულ ცენტრებში აქვთ საკომისიო მაღაზიები. სამწუხაროდ, იმ მაღაზიების თაროებზე იშვიათად ნახავთ ახალ ბოსტნეულსა და ბაღჩეულს, არც ფასები განსხვავდება ბაზრის ფასებისაგან, ზოგჯერ აჭარბებს კიდევაც.

შემოწმებით დადგინდა, რომ არის მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც აფერხებენ მთის მოსახლეობის ბოსტნეულითა და ბაღჩეულით უკეთ მომარაგებას. რა პრობლემებია, ან შეიძლება თუ არა მათი გადაჭრა? შევეხოთ ზოგიერთ მათგანს. ხულოს რაიონის ხიხაძირის კოლმეურნეობა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უშორესი დასახლებული პუნქტია. სოფელში უხვად მოჰყავთ კომბოსტო და მწვანილი. გლეხმა თავისი ნამეტი პროდუქცია სავაჭრო-შემსყიდველ გაერთიანებას რომ მიჰყიდოს, თავისი რამდენიმე კილოგრამი მწვანილი და კომბოსტო ბათუმში უნდა ჩაიტანოს, მოძებნოს გაერთიანების საწყობი, გააფორმოს ქაღალდები, აწონოს, დაელოდოს ანგარიშის გასწორებას. სანამ ასეთ ჩახლართულ გზას გაივლიდეს, გლეხკაცმა ამჯობინა პროდუქტები ბაზარში უფრო ძვირად გაყიდოს. რაიკოოპკავშირის წარმომადგენელს უფლება რომ ჰქონდეს მივიდეს სოფელში, მიიღოს ნამეტი პროდუქტი და იქვე გაუსწოროს ანგარიში, რა თქმა უნდა, საქმე გაიოლდებოდა. ამის უფლება კი, რატომღაც, რაიკოოპკავშირის წარმომადგენელს არა აქვს.

ამას ემატება ისიც, რომ ხიხაძირიდან ბათუმის საწყობში ჩამოტანილი მწვანილი გაერთიანებამ ისევ ხულოს რაიონულ ცენტრში უნდა გაგზავნოს გასაყიდად. ეს რაღაა? ან ის მწვანილი თუ იმწვანილებს, ან რა გამართლება აქვს საქმის ამგვარ გართულებას!

ამას გარდა, შესასყიდი ფასებიც გადასახედია. პამიდვრის შესასყიდი ფასი მერყეობს 12-25 კაპიკს შორის, როცა ბაზარში კილოგრამი პამიდორი 2 მანეთი ღირს, ამიტომ საეჭვოა, რომ ქედელმა მებოსტნემ პამიდორი, რომელიც სექტემბერ-ოქტომბერშიც უხვად აქვს, 25 კაპიკად გაყიდოს, და მით უფრო ბათუმში ჩამოტანილი.

შევეხოთ უფრო მტკივნეულ საკითხს — რძისა და რძის ნაწარმის ვაჭრობას. მთის რაიონულ ცენტრებში ეს პროდუქტები არსად არ იყიდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ რძე უსტერილიზაციოდ სავაჭრო ქსელში არ უნდა მოხვდეს. სანამ ხულოს ან შუახევის რაიონებიდან რძეს ბათუმის რძის ქარხანაში ჩამოიტანენ და დაამუშავებენ, ხოლო შემდეგ უკან წაიღებენ, იგი კარგავს თვისებებსაც და ხარისხსაც. სწორედ ამიტომ გასაყიდად იშვიათად მიაქვთ. ეს ბევრჯერ ითქვა, მაგრამ საკითხის გადაწყვეტას საშველი მაინც არ დადგა.

დასკვნა ერთია. „ხილბოსტანვაჭრობისა" და „აჭარკოოპკავშირის" საკომისიო მაღაზიების თაროებზე მუდმივად უნდა იყოს როგორც დაკონსერვებული პროდუქცია, ასევე ხილი, ბოსტნეული და ბაღჩეული. მთიელ დიასახლისს ნუ დავტოვებთ უბოსტნეულოდ ან ბათუმის ბაზრის შემყურედ. ურიგო არ იქნება, ამ საკითხების გადასაწყვეტად რაიაღმასკომებმა უფრო ქმედითი ღონისძიებები განახორციელონ, იზრუნონ რაიონულ ცენტრებში არსებული ბაზრების უკეთ მომარაგებისათვის.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

„კომუნისტის" კომენტარი:

ამ დიდთოვლობის დროს ვინმემ შეიძლება იფიქროს — რა დროს ბოსტნეულზეაო ლაპარაკი, მაგრამ გაზაფხულიც ხომ სულ მალე მოვა და შარშანდელი შეცდომები რომ აღარ განმეორდეს, ეს კორესპონდენცია სწორედ იმიტომ დაიწერა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება აჭარის მაღალმთიანი რაიონების სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული დონის ამაღლებისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია და მის განუხრელ შესრულებაზე დღენიადაგ უნდა ვიფიქროთ და ვიზრუნოთ.

ამ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები მარტო აჭარის მთიანეთისათვის როდია დამახასიათებელი. მთის რაიონების მოსახლეობის ხილბოსტნეულით უზრუნველყოფის შესახებ ცეკავშირის ვაჭრობის მთავარ სამმართველოში გვითხრეს: შარშან მთიანი რაიონების ბევრი სოფლის მშრომელთა ხილბოსტნეულით მომარაგება ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო გაძნელდა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ვერ შევიტანეთ 11 ტონა კიტრი, 400 ტონა კარტოფილი, 20 ტონა ხილი; მესტიის რაიონს დავაკელით 20 ტონა კიტრი, 80 ტონა კომბოსტო, 35 ტონა ხახვი, 150 ტონა კარტოფილი, 16 ტონა ხილი. ანალოგიური მდგომარეობა იყო ლენტეხის, ონის, ამბროლაურის, ყაზბეგის და სხვა მთიან რაიონებში.

ამ რაიონების მშრომელთა უზრუნველყოფაში იმან შეგვიშალა ხელი, რომ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს აგრარულმა სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანებამ ვერ მოგვამარაგა საჭირო რაოდენობის ბოსტნეულით, ხილითა და კარტოფილით. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წლეულს ეს აღარ განმეორდება და შარშანდელივით რესპუბლიკის გარედან შემოტანილი პროდუქტებით არ მოგვიხდება დეფიციტის შევსება.

ჩვენ კი დავძენთ, რომ წლეულს ამ საქმეს აქედანვე მთელი გულისყურით უნდა მოეკიდონ ხილისა და ბოსტნეულის მწარმოებელი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებიც.

მეტი სათამაშოები ბავშვებს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „1986-1990 წლებში სათამაშოების წარმოების გადიდების, მათი ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ". მისი მიზანია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების კომპლექსური პროგრამის რეალიზაცია.

როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, საბავშვო სათამაშოების წარმოება ქვეყანაში დღენიადაგ იზრდება. ყოველწლიურად ითვისებენ 1200-ზე მეტი ახალი სახეობის სათამაშოებს, სწრაფი ტემპით ვითარდება ელექტრიფიცირებული სათამაშოებისა და ბავშვთა შემოქმედებისათვის საჭირო საგნების წარმოება. მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნა სათამაშოებზე მთლიანად ვერ კმაყოფილდება.

დადგენილებაში დასახულია სათამაშოების წარმოების მოცულობათა შემდგომი გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი. სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დადგენილი აქვთ საბავშვო სათამაშოების გამოშვების 1986-1990 წლების დავალებანი. გათვალისწინებულია ელექტრიფიცირებული სათამაშოებისა და ბავშვთა შემოქმედებისათვის განკუთვნილი საგნების წარმოება 2-ჯერ, ხოლო სპორტული დანიშნულებისა და კოლექტიური სარგებლობის სათამაშოებისა — 2,5-ჯერ გაიზარდოს 1985 წელთან შედარებით. სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს და სამშენებლო სამინისტროებს დაევალათ განახორციელონ სათამაშოების გამომშვები საწარმოების რეკონსტრუქცია და მშენებლობა.

დასახულია განხორციელდეს სათამაშოების ვაჭრობის ორგანიზაციის სრულყოფა, სპეციალიზებული მაღაზიების ქსელის განვითარება, აგრეთვე სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების, საბავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატების, გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების სათამაშოებითა და სათამაშო საშუალებებით უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

საბინაო ფონდის აღრიცხვა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად და საბინაო ფონდის სახელმწიფო აღრიცხვის ერთიანი წესის უზრუნველყოფის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „საბინაო ფონდის სახელმწიფო აღრიცხვის წესის შესახებ".

დადგენილება ითვალისწინებს, რომ საბინაო ფონდის სახელმწიფო აღრიცხვა მისი კუთვნილების მიუხედავად ხორციელდება ერთიანი სისტემით რეგისტრაციისა და ტექნიკური ინვენტარიზაციის საფუძველზე.

სახელმწიფო აღრიცხვას ექვემდებარება მოქალაქეთა მუდმივი ცხოვრებისათვის, აგრეთვე სამსახურებრივი საცხოვრებელი ოთახებისა და საერთო საცხოვრებლებისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი სახლები და საცხოვრებელი ოთახები სხვა შენობებში. დადგენილია, რომ საცხოვრებელი სახლები და საცხოვრებელი ოთახები შეაქვთ საბინაო ფონდის შემადგენლობაში მას შემდეგ, რაც მათ საექსპლოატაციოდ მიიღებს სახელმწიფო მიმღები კომისია, განხორციელდება მათი რეგისტრაცია და ტექნიკური ინვენტარიზაცია. საბინაო ფონდში არ შეაქვთ საგარაჟო-სამშენებლო კოოპერატივების აგარაკები, საზაფხულო ბაღის სახლები, სეზონური ან დროებითი ცხოვრებისათვის განკუთვნილი სხვა შენობები და ოთახები იმისდა მიუხედავად, თუ რამდენ ხანს ცხოვრობენ იქ მოქალაქენი.

საბინაო ფონდის რეგისტრაცია და ტექნიკური ინვენტარიზაცია ეწყობა იმ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეების სახსრებით, რომელთა გამგებლობაშია (საკუთრებაშია) ეს საცხოვრებელი სახლები და საცხოვრებელი ოთახები.

დადგენილია საბინაო ფონდის, მათ შორის სოფლად მდებარე საბინაო ფონდის ტექნიკური ინვენტარიზაციის დამთავრების ვადები. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ უზრუნველყონ სისტემატური კონტროლი საბინაო ფონდის რეგისტრაციისა და ტექნიკური ინვენტარიზაციის დროული მოწყობისა და ხარისხისადმი. (საკდსი).

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტს" უპასუხებს

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველო

„**წამალი** სხეულს არგებს, სათნოება და გულისხმიერება კი სულის მალამოა". ამ სათაურით „კომუნისტის" 1984 წლის 22 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი, რომელშიც მხილებული იყო თბილისის № 5 კლინიკურ საავადმყოფოში შექმნილი მდგომარეობა.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსი გ. აბესაძე გვაუწყებს, რომ კრიტიკულ წერილში აღნიშნული ფაქტები სწორია.

მიმდინარე წლის 8 იანვარს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში მეორე მდივნის ნ. გურგენიძის ხელმძღვანელობით მოეწყო თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ პარტიის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი ა. აზიროვი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი გ. ლეჟავა, ფინანსთა მინისტრის მოადგილე მ. მურჯიკნელი, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ჟვანია, ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსი გ. აბესაძე, საგეგმო კომიტეტის განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი გ. მეძმარიაშვილი და სხვა დაინტერესებული პასუხისმგებელი მუშაკები. თათბირზე განიხილეს ქალაქის №5 კლინიკური საავადმყოფოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაუმჯობესების საკითხი და დასახეს შესაბამისი ღონისძიებანი. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაევალა 1985 წლის მეორე კვარტალში საავადმყოფოს ძირითად კორპუსთან ახალი კორპუსის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავების დამთავრების უზრუნველყოფა; ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქალაქო საბჭოს აღმასკომს, ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს —1986 წლის ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიაში ახალი კორპუსის მშენებლობის დასაწყებად კაპიტალური დაბანდების გათვალისწინება; ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს — 1985 წლის მეორე კვარტალში საავადმყოფოს არსებული შენობის კაპიტალური შეკეთებისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის დამუშავების უზრუნველყოფა; ფინანსთა სამინისტროს, საქალაქო საბჭოს აღმასკომს — 1985 წლის მეორე კვარტალში საავადმყოფოს არსებული შენობის კაპიტალური შეკეთებისათვის, დამუშავებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, დამატებითი ასიგნებათა გამოყოფის უზრუნველყოფა.

გამოყოფილია კომისია საავადმყოფოს რბილი და მაგარი ინვენტარის განახლების მიზნით ზენორმატიული ჩამოწერისათვის.

სტატიაში აღნიშნული მორიგეობის უზრუნველსაყოფად 4,5 დამატებითი საშტატო ერთეულის გამოყოფის საკითხის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში დაყენების შესახებ გაცნობებთ, რომ №5 კლინიკური საავადმყოფოს საშტატო განრიგი გაანგარიშებულია სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს 1979 წლის 6 ივნისის №600 ბრძანებით დამტკიცებული ნორმატივების შესაბამისად, რომელთა მიხედვით მორიგე ექიმის თანამდებობა შემოიღება ყოველ 500 საწოლზე 1 საშტატო ერთეული. ვინაიდან №5 კლინიკური საავადმყოფო დაგეგმილია 460 საწოლზე, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ დამატებითი 4,5 საშტატო ერთეულის გამოყოფის საკითხი სავსებით კანონიერად შეჩერდა. ამჟამად საკითხი განმეორებით იხილება ფინანსთა სამინისტროში.

მოქმედი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული ტოქსიკოლოგიური განყოფილებისათვის ლაბორატორიის მოწყობა. ჯანდაცვის სამმართველომ გააძლიერა საავადმყოფოს ლაბორატორიული სამსახური ერთი ექიმლაბორანტ-ანალიზატორით, რომელიც ძირითადად მოემსახურება ტოქსიკოლოგიურ განყოფილებას.

საავადმყოფოს სამედიცინო აპარატურითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა ხდებოდა თვით საავადმყოფოს მოთხოვნების საფუძველზე. საავადმყოფოს ადმინისტრაციას მიეცა მითითება, რომ სამედიცინო აპარატურისა და მედიკამენტების შესაძენად განაცხადების წარდგენისას უფრო დეტალურად გაითვალისწინონ საავადმყოფოს რეალური მოთხოვნილებები. ჯანდაცვის სამმართველო შეუთანხმდა მომწოდებელ ორგანიზაციებს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქმედტექნიკას" და რესპუბლიკურ საფთიაქო სამმართველოს აღნიშნული განცხადების უთუო დაკმაყოფილების თაობაზე.

ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ჯანდაცვის სამმართველომ 1985 წლის იანვარში საავადმყოფოს გამოუყო 1 სამეურნეო ავტომანქანა, დაგეგმილია 1985 წლის პირველ ნახევარში კიდევ ერთი სანიტარიული ავტომანქანის გამოყოფა.

შარშან 24 დეკემბერს ჯანდაცვის სამმართველოში გამართულ ოპერატიულ თათბირზე განიხილეს სტატიაში მოყვანილი ფაქტები და საავადმყოფოს ხელმძღვანელობას ავადმყოფთა მომსახურების პირობების გაუმჯობესების მიზნით დაევალა შეემუშავებინა და გაეტარებინა შესაბამისი კონკრეტული ღონისძიებები.

27 დეკემბერს საავადმყოფოში მოეწყო თანამშრომელთა ღია პარტიული კრება პარტიის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივნის, ჯანდაცვის სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილის, აგრეთვე „რაისურსათვაჭრობის" და „ხილბოსტანვაჭრობის" წარმომადგენლების მონაწილეობით. 1985 წლის 9 იანვარს გაიმართა საავადმყოფოს გაფართოებული სამედიცინო-სანიტარიული საბჭოს სხდომა მის ბაზაზე განლაგებული კათედრების ხელმძღვანელების თანდასწრებით. პარტიის კრებაზე და სამედიცინო-სანიტარიულ საბჭოზე განიხილეს წერილში მოყვანილი ყველა საკითხი და დასახეს სათანადო ღონისძიებანი აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. მისაღებ განყოფილებაში ამბულატორიული ოპერაციების შესასრულებლად შემოღებულია საოპერაციო ჟურნალი. გაუმჯობესდა სამედიცინო დოკუმენტაციის შედგენა, სისტემატურად ხდება ადმინისტრაციული პასუხისმგებელი მორიგის შემოვლა საღამოს საათებში. განყოფილებებში განლაგებული ბუფეტებისათვის შემოტანილია სათანადო რაოდენობის ჭურჭელი, ავადმყოფებისათვის გამოწერილია ჟურნალ-გაზეთები. გათბობის სისტემის მდგომარეობის გაუმჯობესების, პალატებში ინდივიდუალური სასიგნალო გაყვანილობის და რადიოფიცირების, ავადმყოფებისათვის დასასვენებელი „ჰოლების" მოწყობის საკითხები გადაწყდება შენობის კაპიტალური შეკეთების დროს.

ჯანმრთელობის დაცვის სამმართველო მომავალში უფრო გააუმჯობესებს ხელმძღვანელობას და დახმარებას ქალაქის №5 საავადმყოფოს მიმართ. 1985 წლის მეორე კვარტალში გათვალისწინებულია სამმართველოს სამედიცინო საბჭოზე მთავარი ექიმის გ. ფანცულაიას ანგარიშის მოსმენა გაწეული მუშაობის შესახებ.

კულტურის ზეიმი — მეგობრობის ზეიმი

სსრ კავშირში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის დღეები საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ყოველმხრივი თანამშრომლობის ისტორიაში ახალი მკაფიო ფურცელი გახდება. ფაშისტ დამპყრობლებისგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ხელოვნებისა და ძმობის ეს დღესასწაული ფართოდ აღინიშნება ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში.

დღეები საზეიმოდ გაიხსნა 25 თებერვალს მოსკოვში, სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში. მას დაესწრნენ ამხანაგები ჰ. ა. ალიევი, პ. ნ. დემიჩევი, ი. ვ. კაპიტონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ბ. ი. სტუკალინი, ვ. თ. შაურო. აქვე იყვნენ ოფიციალური დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. გავლინის მეთაურობით და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მ. ზავადილი. დარბაზში იყვნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწენი, დედაქალაქის საწარმოთა მუშები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა სახელით გულთბილად მიესალმა მოძმე ქვეყნის დესპანებს, რომლებიც ჩამოვიდნენ დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად.

საპასუხო სიტყვაში ი. გავლინი ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის გ. ჰუსაკის სახელით გულითადად მიესალმა საბჭოთა ადამიანებს და უსურვა მათ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის პროგრამის განხორციელებაში შემდგომი წარმატებები.

კულტურის დღეების გახსნის საპატიო უფლება მიენიჭა პრაღის ეროვნული თეატრის საოპერო დასს. ეს კოლექტივი, რომელსაც მრავალი წლის შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებს საბჭოთა სცენის ოსტატებთან, არაერთხელ გამოსულა ჩვენს ქვეყანაში.

(საქდესი).

ჯილდო მეავეჯეებს

ბათუმის ხის დამმუშავებელი კომბინატი დღეში უშვებს 70-ზე მეტ სამზარეულო გარნიტურს — „მინის", „მაქსის" და „აჭარას". ამ მოხერხებულ მაღალხარისხოვან სამზარეულო კომპლექტებზე მყიდველთა დიდი მოთხოვნაა.

ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში კომბინატის კოლექტივს სამართლიანად უწოდებენ წითელდროშოვანს. იგი არაერთხელ აღიარეს ქვეყანაში საუკეთესოდ. დარგის საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის გასული წლის შედეგების მიხედვით ბათუმელ მეავეჯეებს მიენიჭათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

კომბინატის კოლექტივს საპატიო ჯილდო გადასცა სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზ-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ქ. პროდაივოდამ. (საქინფორმი).

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

26 თებერვალი ■ საქდესი იუწყება

შევინარჩუნოთ სიცოცხლე დედამიწაზე

გამოხმაურება

საბჭოთა ხალხის, საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეებისა და პარტიული ხელმძღვანელების უმაღლესი მიზანი ის არის, რომ მიაღწიონ გამალებული შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული შეიარაღების შეჩერებასა და შეკვეცას. ამ აზრს უსვამენ ხაზს საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, სხვადასხვა ქვეყნის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, რომლებიც კომენტარს უკეთებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს სიტყვას მშრომელთა წინასაარჩევნო კრებაზე. გამოხმაურებებში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირი თანამიმდევრულად იღვწის მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებისათვის.

გდრ

საბჭოთა ხელმძღვანელის სიტყვაში, რომელსაც უდიდესი ყურადღებით შეხვდნენ მთელ მსოფლიოში, ღრმად მარქსისტულად არის გაანალიზებული სსრ კავშირის საშინაო ცხოვრებისა და თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის საკვანძო პრობლემები, წერს „ნოიეს დოიჩლანდი" ეს სიტყვა მკაფიოდ ასახავს ლენინური პარტიის მრავალმხრივ მუშაობას სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების იმ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, რომელთა მიზანია საბჭოთა ქვეყანა კიდევ უფრო ძლიერი იყოს, საბჭოთა ადამიანები კიდევ უფრო უკეთ ცხოვრობდნენ, დედამიწაზე მტკიცე მშვიდობა სუფევდეს.

ჩეხოსლოვაკია

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა საერთაშორისო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა, აღნიშნავს „რუდე პრავო", ამ სიტყვაში აღძრულია მთელი კაცობრიობისათვის საარსებო მნიშვნელობის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც მიაჩნია სსრ კავშირს პლანეტაზე მშვიდობის შენარჩუნების გარანტიად. საბჭოთა ხელმძღვანელმა კვლავ დასახა ამ მიზნის მისაღწევი გზა. დედამიწაზე იარაღის დაგროვების შეწყვეტა და კოსმოსში მისი განლაგების აღკვეთა — აქეთკენ არის მიმართული საბჭოეთის მეცადინეობა საერთაშორისო ასპარეზზე და ეს ესახება საბჭოთა დიპლომატიის ჟენევის მომავალი მოლაპარაკების დედააზრად. იმან, ვისაც ნამდვილად სურს გამალებული შეიარაღების შეჩერება, ყურად უნდა იღოს მოსკოვის მოწოდება.

კორეა

ახლანდელი რთული საერთაშორისო ვითარება დიდ სიფხიზლეს, სიმტკიცეს, თავდაჭერასა და რა თქმა უნდა, მსოფლიო კლიმატის გასაჯანსაღებლად აქტიურ მოქმედებას მოითხოვს, ხაზს უსვამს „ნოდონ სინმუნი" (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა). სსრ კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა ერთობლივი ძალით არ დაუშვეს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს თავიანთ სასარგებლოდ დაერღვიათ სამხედრო სტრატეგიული პარიტეტი. ასე იქნება კვლავაც.

აშშ

ამერიკელი მშვიდობის მომხრენი იზიარებენ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში ჩამოყალიბებულ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალი ჟენევის მოლაპარაკების შეფასებას, განაცხადა ფრთოსანი რაკეტების მოწინააღმდეგეთა კოალიციის ხელმძღვანელობის წევრმა **ედვინ ვოგანმა.** სსრ კავშირის შეგნებული აქვს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ორი ქვეყნის დიალოგი ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის, და იგი ყოველ ღონეს ხმარობს ამ დიალოგის წარმატების უზრუნველსაყოფად. სამხედრო უპირატესობისადმი უგუნური სწრაფვა კი არა, არამედ თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპების მკაცრი დაცვის საფუძველზე ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებათა მიღწევა — ასეთია ერთადერთი გონივრული გზა, რომელსაც საბჭოთა კავშირი გვთავაზობს. ამერიკელი მშვიდობის მომხრენი გმობენ „კოსმოსური ომების" სამზადისის გეგმას, რომელსაც რეიგანის ადმინისტრაცია ამუშავებს. სიჯიუტე, რომლითაც ვაშინგტონის გავლენიანი წრეები იცავენ ამ უგუნურ წამოწყებას, მოწმობს, რომ ისინი კვლავინდებურად ომის, და არა მშვიდობის კატეგორიებით აზროვნებენ.

გფრ

საბჭოთა ხელმძღვანელმა, აღნიშნავს დასავლეთ გერმანიის „კელნერ შტადტ-ანცაიგერი", შეერთებულ შტატებს მოუწოდა სერიოზულად და პატიოსნად მიუდგეს მომავალ მოლაპარაკებას, ხელი აიღოს სამხედრო უპირატესობის მიღწევის მოჩვენებითი იმედზე. მეორე დასავლეთ გერმანული გაზეთი „რაინიშე პოსტი", წერს: „კ. უ. ჩერნენკომ კვლავ გაუსვა ხაზი, რომ საქმის წარმატებისათვის აბსოლუტურად აუცილებელია კოსმოსური და ბირთვული შეიარაღების საკითხების კომპლექსურად გადაწყვეტა. სწორედ ეს შეადგენს ჟენევის მორიგების ძირითად აზრს.

ავსტრია

„ჩვენ გამალებული შეიარაღების განგრძობა კი არა, შეწყვეტა გვწადია", — კ. უ. ჩერნენკოს ეს სიტყვები შეიცავენ საბჭოთა კავშირის პოზიციის დედააზრს ჟენევის მოლაპარაკების წინ, აღნიშნავს „ფოლქსშტიმე". მოსკოვში ესმით, რომ ახლანდელ თაობას აკისრია უზენაესი პასუხისმგებლობა — არ დაუშვას ახალი მსოფლიო ხანძარი, გადაარჩინოს სიცოცხლე პლანეტაზე. თავის დროზე ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნები, თუმცა ისინი სხვადასხვა საზოგადოებრივ წყობილებას ეკუთვნოდნენ, მოკავშირენი გახდნენ. ეს იმიტომ მოხდა, რომ ჰიტლერიზმი საყოველთაო საშიშროებად იქნა მიჩნეული. მაგრამ კაცობრიობას, ყველა ხალხს ჩვენს დროშიც ჰყავს საერთო მოსისხლე მტერი — მსოფლიო ბირთვული კატასტროფის საფრთხე. აი ამიტომ განაცხადეს მოსკოვში: დღეს სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ღერძია ბრძოლა იმპერიალიზმის მიერ თავსმოხვეული გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის.

პოლონეთი

გააძევეს ქვეყნიდან

ამერიკელი დიპლომატი გამოაცხადეს პერსონა ნონ გრატად

ვარშავა. როგორც პოლონეთის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მტკიცე პროტესტი განაცხადა პოლონეთში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სამხედრო ატაშეს ფ. მაიერის საქმიანობის გამო, რაც შეუთავსებელია დიპლომატიურ სტატუსთან. ამერიკელი დიპლომატი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადეს და გაძევებულია ქვეყნიდან.

ცნობაში ნათქვამია, რომ მაიერი ცოლთან ერთად იღებდა პოლონეთის სამხედრო ობიექტების ფოტოსურათებს და მილიციის მუშაკებმა შემთხვევის ადგილას დააკავეს. გაჩხრეკისას მათ აღმოაჩნდათ რუკები, რომლებზეც აღნიშნული იყო სამხედრო ობიექტები. აგრეთვე ფოტოაპარატები და ფოტოფირები.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, რომ ეს იყო წინასწარი განზრახვით პროვოკაციულად გამოწვეული ინციდენტი პოლონეთ-ამერიკის ურთიერთობის გაუარესების მიზნით.

ახლო აღმოსავლეთი

ისრაელ ოკუპანტთა თარეში

● **აგრესორთა სისხლიანი დანაშაულობანი ლიბანის სოფლებში ● ვაშინგტონი აქეზებს ინტერვენტებს ● ლიბანის მთავრობის მოთხოვნა**

ბეირუთი. ისრაელის მხედრიონი განაგრძობს თარეშს სამხრეთ ლიბანში. აგრესორის ქვეგანაყოფებმა ტანკებისა და ჯავშანტრანსპორტიორების მხარდაჭერით სისხლიანი თარეში მოაწყვეს ტირის აღმოსავლეთით მდებარე ცხრა სოფელში, სადაც დამსჯელები აწყობდნენ მცხოვრებთა დამამცირებელ დაკითხვას, მხეცურად სცემდნენ მათ. ცეცხლს აძლევდნენ ან ბულდოზერებით ანგრევდნენ ადგილობრივ გლეხთა სახლებს. ლიბანის პრესის მონაცემებით, დამპყრობთა აქციების უკანასკნელი ხუთი დღის მანძილზე დახოცილია დაახლოებით 20, დაჭრილია ათობით და დაპატიმრებულია ასობით ლიბანელი. სასტიკი რეპრესიების შიშით მოსახლეობა იძულებულია ოკუპირებული რაიონებიდან გაიქცეს. სამხრეთ ლიბანისა და რეკონსტრუქციის საქმეთა მინისტრმა ნ. ბერომ თელავივს ბრალი დასდო ისეთი პოლიტიკის განხორციელებაში, რომლის მიზანია ქვეყნის სამხრეთიდან ლიბანელთა სრული განდევნა.

შრომისა და განათლების მინისტრმა ს. ჰოსმა მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობის პოზიცია, რომელიც ამართლებს სამხრეთ ლიბანის მიწა-წყალზე ისრაელ ინტერვენტთა დანაშაულობებს. შეერთებული შტატები, განაცხადა მან, ქადაგებს ადამიანის უფლებათა დაცვას, მაგრამ თელავივს გზა დაულოცა ლიბანის წინააღმდეგ აგრესიისათვის.

ნიუ-იორკი. ლიბანის მთავრობამ მოითხოვა სასწრაფოდ მოიწვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო, რათა განიხილონ საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ სამხრეთ ლიბანში, ბექაას ველის დასავლეთ ნაწილში და რაშაიის რაიონში გრძელდება „ისრაელის საოკუპაციო ჯარების აგრესია და რეპრესიები".

ეს ნათქვამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ლიბანის მუდმივი წარმომადგენლის წერილში უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი.

ლიბანში ვითარების მკვეთრი გამწვავება გამოიწვია ტერორის ახალმა ტალღამ, რომელსაც მიმართავენ ისრაელი დამპყრობლები ამ ქვეყნის ოკუპირებული რაიონების წინააღმდეგ.

მოგზაურობა ფოტოაპარატით

„შავი ოქროს" ქვეყანაში



25 თებერვალს სპარსეთის ყურის სანაპიროზე მდებარე ახალგაზრდა არაბული სახელმწიფოს — კუვეიტის ხალხმა იზეიმა ეროვნული დღე. 1961 წელს იგი განთავისუფლდა ინგლისის პროტექტორატისაგან და დამოუკიდებლობა მოიპოვა.

დამოუკიდებლობის წლებში კუვეიტი ახლო აღმოსავლეთში სავაჭრო და ფინანსური ოპერაციების მსხვილ ცენტრად იქცა.

ქვეყნის მთავარი სიმდიდრეა ნავთობი. „შავი ოქროს" მარაგით მას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია კაპიტალისტურ სამყაროში. ნავთობის გაყიდვისაგან მიღებული შემოსავალი კუვეიტს შესაძლებლობას აძლევს სოლიდური თანხები მოახმაროს ეკონომიკის განვითარებას, დიდი ყურადღება ეთმობა ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემების სრულყოფას, სოფლის მეურნეობის განვითარებას, ეროვნული კადრების მომზადებას.

კუვეიტის ნავთობის უდიდეს იმპორტიორთა შორის არიან იაპონია, ამერიკის შეერთებული შტატები, დასავლეთ ევროპის ქვეყნები. ქვეყნის მთავრობა ეროვნული ინტერესების შესაბამისად ბოლო წლებში დაადგა ნავთობის მარაგის დაზოგვის კურსს, ცდილობს შეზღუდოს ნედლი ნავთობის გატანა, აქტიურად ავითარებს საკუთარ გადამმუშავებელ მრეწველობას.

ეს არაბული სახელმწიფო მიუმხრობლობის მოძრაობის აქტიური მონაწილეა. იგი მტკიცედ და თანამიმდევრულად უჭერს მხარს ახლო აღმოსავლეთის პრობლემის სამართლიან ყოვლისმომცველ მოწესრიგებას და ამ საკითხზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას, დახმარებას უწევს ისრაელის აგრესიის მსხვერპლთ, საერთაშორისო ასპარეზზე მხარს უჭერს დაძაბულობის შენელებასა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტას.

წლითიწლობით ვითარდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირ-კუვეიტის ურთიერთობა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1963 წელს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისთანავე, ფართოვდება ორმხრივი თანამშრომლობა ეკონომიკურ, სავაჭრო და სხვა დარგებში.

სურათებზე: სპარსეთის ყურის სანაპიროზე ცაში აზიდული კოლორიტული კოშკები თანამედროვე კუვეიტის სიმბოლოა; კუვეიტელი ტაქსის მძღოლი; ქვეყნის დედაქალაქი ელ-კუვეიტი.

საქდესის ფოტო.

მათი ზნე-ჩვეულება

ანგარიშები გადარჩენისათვის

ამ ბიჭუნას სახელი ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ დღეში გახდა ცნობილი. 1984 წლის იანვარში ჩიკაგოელი ოთხი წლის ჯიმი ტონტლევიჩი, მამასთან ერთად გაყინულ ტბაზე რომ სეირნობდა, წყალში ჩავარდა. 20 წუთი გავიდა, სანამ მას ზედაპირზე ამოიყვანდნენ, მაგრამ ექიმებმა რაღაც სასწაულებრივად შეძლეს ბავშვის კლინიკური სიკვდილიდან გამოყვანა. ამჟამად ჯიმი შინ დაბრუნდა, მისი ჯანმრთელობა და გონებრივი განვითარება ნორმალურ კალაპოტში დგება. მაგრამ ეს ამბავი არც ისე კეთილსასურველად დამთავრდა ჯიმის მშობლებისათვის. როგორც გაზეთი „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნი" იუწყება, სამედიცინო დაწესებულებებმა, სადაც ბიჭუნა იწვა, მათ მრავალრიცხოვანი ანგარიშები წაუყენეს. ქალაქის საზოგადოებრიობამ მათთვის 200 ათასი დოლარი შეაგროვა, მაგრამ არც ეს უზარმაზარი თანხა აღმოჩნდა საკმარისი ექიმების ვალის გასასტუმრებლად.

ინდოეთი

კომპარტიის სერიოზული შეშფოთება

პენჯაბის შტატში გახშირდა სეპარატისტთა ბანდების გამოხდომები

დელი. ინდოეთის კომუნისტურმა პარტიამ გამოთქვა სერიოზული შეშფოთება იმის გამო, რომ ბოლო დროს პენჯაბის შტატის ბჰატინდას ოლქში გახშირდა სეპარატისტთა გამოხდომები. ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს მდივნის ნ. კ. კრიშნანის განცხადებაში აღნიშნულია, რომ სეპარატისტთა ბანდების წევრი ტერორისტები ამას წინათ მუხანათურად დაესხნენ თავს კომპარტიის აქტივისტებს სოფელ კაურ სინგჰვალაში, რის შედეგადაც მხეცურად მოკლეს ინდოეთის კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის მდივანი ნაუნიჰალ სინგჰი და მძიმედ დაჭრეს კომუნისტი ხარბჰავანი. ექსტრემისტები, აღნიშნა ნ. კ. კრიშნანმა, ცდილობენ ტერორის მეშვეობით დააშინონ მოსახლეობა, ფიზიკურად მოსპონ ინდოეთის კომპარტიის აქტივისტები, რომლებიც თანამიმდევრულად უჭერენ მხარს ქვეყნის ეროვნულ ერთიანობას.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ინდოეთის კომპარტიის ორგანიზაცია პენჯაბში დიდ მუშაობას ეწევა. რათა განამტკიცოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ერთიანობა, დარაზმოს საზოგადოებრიობა შინაგანი და გარეშე რეაქციის ძალების დანაშაულებრივი ზრახვებისათვის საკადრისი პასუხის გასაცემად.

ავღანეთი

მტკიცე პროტესტი

ქაბული. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მტკიცე პროტესტი განუცხადა პაკისტანს რესპუბლიკის წინააღმდეგ ისლამაბადის ახალ შეიარაღებულ პროვოკაციებთან დაკავშირებით. ბახთარის სააგენტოს მიერ გადმოცემულ განცხადებაში ნათქვამია, რომ 18 თებერვალს პაკისტანის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ბარიკოტის რაიონს (კუნარის პროვინცია). ბარბაროსული სროლის შედეგად მძიმედ დაიჭრა ბავშვი, სერიოზულად დაზიანდა საცხოვრებელი სახლები. 23 თებერვალს პაკისტანის რეგულარული ჯარების ქვეგანაყოფმა, რომელშიც დაახლოებით 400 კაცი შედიოდა, დაარღვია ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარი და თავს დაესხა ბარიკოტის სამხედრო გარნიზონს.

შეუნელებელ ყურადღებას ვუთმობთ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის განმტკიცებას. პარტიას ეს ამოცანა ფართოდ ესმის. აქ არის შრომის პირობების გაჯანსაღებაც და გარემოს დაცვაც, ნამდვილად მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის გაშლაც და, რაღა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სრულყოფა.

კ. უ. ჩერნენკო

დღეგრძელობა ჩვენს ხელთ არის

მასობრივი ფიზიკური კულტურისა და ჯანსაღებისათვის

უძველესი დროიდან ცნობილია და დღეისათვის მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ადამიანის ჯანმრთელობის გაკაჟებისა და შრომის უნარიანობის ამაღლებისათვის ფიზიკურ კულტურას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ფიზიკური ვარჯიშის სწორი და სისტემატური გამოყენების შედეგად ადამიანის ორგანიზმის ფუნქციები აქტიური და სრულყოფილი ხდება: უმჯობესდება ნერვული სისტემის მდგომარეობა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობა, სწორი და შედარებით ღრმა ხდება სუნთქვა, უმჯობესდება საჭმლის მომნელებელი ორგანოების მოქმედება და ნივთიერებათა ცვლა, მაღლდება ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობა მავნე გარემოსა და ორგანიზმში შეჭრილი ინფექციისადმი, ვითარდება საყრდენ-მამოძრავებელი აპარატი. საბოლოო ჯამში, ადამიანის შრომის უნარიანობა მაღლდება და მისი სიცოცხლეც ხანგრძლივდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა ყოველთვის დიდ ზრუნვას იჩენდა და იჩენს საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის. გავიხსენოთ თუნდაც 1983 წლის ივნისში გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება იყო გამახვილებული იმის თაობაზე, თუ რა მეტად პასუხსაგები როლი განეკუთვნებათ ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს, რომ დაიფარონ ადამიანი სენისაგან, გაუხანგრძლივონ აქტიური სიცოცხლე. იმავე წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ „მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მოზარდი თაობის ჯანმრთელობის გაკაჟებას. ჩვენ ძალზე გვაფიქრებს ის გარემოება, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა 20 პროცენტს სუსტი ჯანმრთელობა აქვს, მოსწავლეთა და სტუდენტთა ნახევარზე მეტმა არ იცის ცურვა, რომ სკოლებთან ჩამოყალიბებულ სპორტულ სექციებში გაერთიანებულია მოსწავლეთა მხოლოდ 30 პროცენტი. ახალგაზრდობა არ იჩენს დიდ ხალისს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობისათვის, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტის განვითარებას". ცოტა ხნის შემდეგ, უკვე ნოემბერში გამართულ საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, სადაც განხილული იყო რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები, ასევე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაავადებათა თავიდან აცილებას, მთელი მოსახლეობის ყოველწლიური დისპანსერიზაციის შემოღებას.

ჯანმრთელობის ორგანოების მუშაობაში პროფილაქტიკისა და დისპანსერიზაციის საკითხი ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა. და ცხადია, ჩვენი მედიკოსები ამ სახელმწიფოებრივი საქმის განხორციელებისათვის არიან მოწოდებული. თანამედროვე მედიცინაში ხომ თვალნათლივ შეიმჩნევა მეცნიერული ცოდნის შემდგომი დიფერენციაციის ტენდენცია, წარმოიშვა მთელი რიგი ახალი დარგები, მათ შორის სპორტული მედიცინა.

ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა რიცხვის სწრაფი ზრდა ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. არ შეიძლება არსებობდეს ფიზიკური კულტურა და სპორტი კარგად დაყენებული საექიმო კონტროლის გარეშე, რამეთუ სწორედ იგი წარმოადგენს მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის დისპანსერული მეთოდის საფუძველს. სხვასთან ერთად მისი ძირითადი ამოცანაა თვალყური ადევნოს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მოვარჯიშეთა ჯანმრთელობას, მათი ფიზიკური განვითარების დინამიკას. უკანასკნელ წლებში საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო რესპუბლიკაში საექიმო ფიზკულტურის სამსახურის შემდგომი განვითარების საკითხებს.

მოსახლეობის ფიზიკურ აღზრდას ამჟამად საექიმო კონტროლს უწევს სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მთელი ქსელი, საექიმო ფიზკულტურის დისპანსერების ორგანიზაციულ-მეთოდიკური ხელმძღვანელობით. ახლა რესპუბლიკაში 10 საექიმო ფიზკულტურის დისპანსერია: ოთხი თბილისში, დანარჩენები კი ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, რუსთავში, ქუთაისსა და ზუგდიდში.

არსებული დებულებით, მოსახლეობის ფიზიკური აღზრდისადმი საექიმო კონტროლი თუ სამედიცინო მეთვალყურეობა დაწესებულია შემდეგნაირად:

სკოლამდელი ასაკის ბავშვების საექიმო შემოწმება ევალებათ ბაგა-ბაღებზე მიმაგრებულ ექიმებს; საშუალო სკოლის ბავშვებისა — სკოლის ექიმებს; უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სტუდენტებს ამოწმებენ საექიმო ფიზკულტურის დისპანსერები და ამ სასწავლებლებზე მიმაგრებული პოლიკლინიკის ექიმები; ფაბრიკა-ქარხნების ფიზკულტურულ კოლექტივებში გაერთიანებული მუშა-მოსამსახურეები საექიმო შემოწმებას გადიან მედსანაწილებში, ხოლო რესპუბლიკის წამყვანი სპორტსმენებისა და თანრიგოსნების საექიმო შემოწმება და დისპანსერული მეთვალყურეობა ევალებათ საექიმო ფიზკულტურის დისპანსერებს; ჯანმრთელობის ჯგუფებში გაერთიანებული პირები წელიწადში ორჯერ გადიან საექიმო შემოწმებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით პოლიკლინიკებში. ამრიგად, ფიზკულტურასა და სპორტში მოვარჯიშე პირებს შეუძლიათ ვარჯიშის დაწყების წინ მიმართონ შესაბამის სამკურნალო და პროფილაქტიკურ დაწესებულებებს, გაიარონ საექიმო შემოწმება და მიიღონ საჭირო რჩევა-დარიგება იმის თაობაზე, თუ როგორი ინდივიდუალური ფიზიკური დატვირთვა შეუძლიათ აიტანონ.

მაგრამ, სამწუხაროდ, მოსახლეობაში საკმაოდ ბევრნი არიან ისეთებიც, რომლებიც არ ითვალისწინებენ თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობას, არ მიმართავენ ექიმ სპეციალისტებს კონსულტაციისათვის და დამოუკიდებლად იწყებენ ვარჯიშს, რასაც ხშირად სავალალო შედეგი მოსდევს. აღნიშნული ალბათ იმითაც არის გამოწვეული, რომ ჯერ კიდევ ვერ შეძლებით საჭირო და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ფიზიკური დატვირთვა-დოზირების საკითხების შესახებ. ეტყობა, მომწიფდა საკითხი, შევიმუშაოთ და გავავრცელოთ სპეციალური ცნობარი, სადაც გათვალისწინებული იქნება ასაკი, სქესი და ჯანმრთელობა. ყოველივე ეს მშრომელებს ამა თუ იმ დატვირთვის სწორად შერჩევის შესაძლებლობას მისცემდა. ასეთი ცნობარები უნდა გამრავლდეს საჭირო რაოდენობით და უბნის ექიმების მეშვეობით გავრცელდეს მოსახლეობაში, რადგან სწორედ უბნის ექიმია სამედიცინო დახმარების ის რგოლი, რომელმაც დიდი მუშაობა უნდა გასწიოს მოსახლეობაში პროფილაქტიკური ღონისძიებების განსახორციელებლად. და ეს მით უფრო საჭიროა, რადგან სამედიცინო დახმარებასთან ერთად სწორად ფიზკულტურაა მოსახლეობის გაჯანსაღების საუკეთესო საშუალება.

იმ ადგილებში, (სკვერებში, პარკებში), სადაც მოსახლეობა არაორგანიზებულად ვარჯიშობს ფიზკულტურაში, ჩვენი აზრით, კარგი იქნება, თუ დაიდგმება ცნობარ-ავტომატები, რომლებიც წინასწარ იქნება დაპროგრამებული საჭირო ინფორმაციით, ე. ი. ვარჯიშის დოზირებული დატვირთვის მონაცემებით.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვთა შორის ხერხემლის სვეტის გამრუდების ეგრეთ წოდებული სკოლიოზის მკურნალობის გაუმჯობესებისა და მისი პროფილაქტიკის საკითხებს. ჩვენდა სამწუხაროდ, იგი საკმაოდ გავრცელებულია. ეს დაავადება სხვადასხვა ფორმით ბავშვების საკმაოდ დიდ ნაწილში (35 პროცენტზე მეტი) გვხვდება. აქ კი საჭიროა განათლების სამინისტროს დახმარება, რათა ყველა სკოლაში შეიქმნას ფიზიკურად სუსტი განვითარების ბავშვებისათვის გამაჯანსაღებელი ჯგუფები. ბავშვთა შორის ამ დაავადების პროფილაქტიკაში გარკვეული ადგილი უკავია ორგანიზმის გაკაჟებას, და ამიტომ, იქ, სადაც ამის საშუალება არის, ბავშვთა პოლიკლინიკებთან უნდა აშენდეს საცურაო აუზები. ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმულია თბილისის რამდენიმე ბავშვთა პოლიკლინიკაში. რა თქმა უნდა, მათი რიცხვი საკმარისი არ არის და საჭიროა ასეთ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი გაფართოება.

ჩვენი აზრით, აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაში ჯანმრთელობის სამინისტროსთან ერთად აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, კულტურის სამინისტროებმა, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა და სხვა დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა. ცხადია, საჭირო იქნება ერთობლივად შევიმუშავდეს სამუშაო გეგმა ფიზკულტურასა და სპორტში სათანადო საექიმო კონტროლისა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა უფრო ეფექტიანი განხორციელებისათვის.

გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულმა რესპუბლიკის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენელთა ღია წერილმა — მიმართვამ უთუოდ ბევრი ჩააფიქრა რესპუბლიკაში ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. ცხადია, ამ მეტად მნიშვნელოვანმა დოკუმენტმა მედიკოსების ყურადღებაც მიიპყრო, და ახლა ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ფიზიკურ კულტურაში მოვარჯიშეთა საექიმო კონტროლი, პროფილაქტიკა და საყოველთაო დისპანსერიზაცია თანამედროვე მოთხოვნათა შესაფერ დონეზე ავიყვანოთ.

ი. ჭოჭუა,
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე.

გეოგრაფია ზურგჩანთაში

მე, დედა და მამა სპორტული ოჯახი ვართ

თბილისელი მოსწავლე დათო აბრამიშვილი საქართველოს მდინარეებს მარტო გეოგრაფიული რუკის მიხედვით როდი იცნობს. ცამეტი წლის ბიჭუნას მონაწილეობა მიუღია სხვადასხვა კატეგორიის სირთულის ლაშქრობებში თეთრ და შავ არაგვზე, იორზე... ხოლო სულ ახლახან — ალაზანზე, რისთვისაც მას წყლის ტურიზმის ინსტრუქტორის წოდება მიენიჭა. მართალია, კიდევ ერთი გამოცდის ჩაბარება მოუწია, ამჯერად ხმელეთზე — მომთხოვნი კომისიის წინაშე: წარადგინა დაწვრილებითი ანგარიში ბირკიანიდან მინგეჩაურის წყალსაცავამდე გავლილი სამასკილომეტრიანი გზის შესახებ, რომელსაც თან ახლდა კინო და ფოტომასალები.

თავის პირველ ლაშქრობაში იგი მშობლებთან ერთად გაემართა, როცა ხუთი წლის იყო. თბილისის სამხატვრო აკადემიის ახალგაზრდა მასწავლებლები სპორტს მისდევდნენ: მამა ა. აბრამიშვილი ტურიზმით იყო გატაცებული, დედა ზ. ბორცვაძე — სპორტული ორიენტირებით. მშობლების ინტერესთა წრეში ბიჭუნამ რუკების კითხვა უფრო ადრე ისწავლა, ვიდრე წიგნებისა, ისწავლა კარვის დადგმა, კომპასსაც კარგად ხმარობდა. ჩვეულებრივ ალპურვილობასთან ერთად მის ზურგჩანთაში... სათამაშოებიც იდო. გულახდილად რომ ვთქვათ, მანქანა — ბიჭუნების უცვლელი სათამაშო — მისი სალაშქრო ზურგჩანთიდან არც ისე დიდი ხანია რაც გაქრა. სამაგიეროდ ახლა წიგნები, განსაკუთრებით გამოჩენილ გეოგრაფთა დღიურები, მოგზაურობათა და პირველაღმომჩენთა ამბები მისი ზურგჩანთის მთავარი „ტვირთია".

მეშვიდეკლასელი — და ეს პროფესიონალების აზრია — ოსტატურად ფლობს ნავს.

ვერაფერს გახდებით ვერც ლოციის — მდინარის ცოდნის, თუ გნებავთ, შეგრძნების გარეშე, ვერც ადმინისტრაციულ საქმეებზე აიღებთ ხელს: ზუსტად უნდა აწარმოოთ საგზაო დღიური, ხარჯების ნუსხა. საოჯახო საქმეც უნდა გეხერხებოდეს.

— მთავარი, რაც ჩემმა ვაჟმა ისწავლა, — თქვა უფროსმა აბრამიშვილმა, — ეს არის კოლექტივში ცხოვრების უნარი, ურთიერთდახმარება, დამოუკიდებლობა. ტურიზმი არა მარტო ფიზიკური, არამედ ზნეობრივი წრთობაცაა, აქ ეცნობი საინტერესო არქიტექტურის ძეგლებს, ისტორიას... შემთხვევითი როდია, რომ დათო კლასში პირველია ისტორიასა და გეოგრაფიაში, ხატოვანი გახდა მისი მეტყველება, ხოლო ნანახი მის მიერ ხეზე შესრულებული მრავალი ნამუშევრის თემად იქცა. ეს ნამუშევრები არაერთხელ ყოფილა გამოფენილი, ექსპონირებულია თბილისის 94-ე საშუალო სკოლის მუზეუმში, სადაც ნორჩმა ტურისტმა წრეც ჩამოაყალიბა. დათო მრავალრიცხოვანი ლაშქრობების სული და გულია, რომლებშიც უცილობლად მონაწილეობენ დათოს მშობლებიც და მისი უმცროსი ძმა ზურიკოც.

წყლის ტურიზმი ბიჭუნას ერთადერთი გატაცება როდია. იგი წარმატებით ვარჯიშობს, ალპინიზმზეც უჭირავს თვალი. რატომ არ ანიჭებს დათო სპორტის რომელიმე სახეობას უპირატესობას?

— ჩვენს ოჯახში სპორტი თვითმიზანი როდია, — გვიპასუხა ა. აბრამიშვილმა. — იგი დასვენება, გატაცება, ჯანმრთელობაა.

— და უკანასკნელი შეკითხვა, დათო:

— რაზე ოცნებობ?

— მინდა ვიმოგზაურო შორეული აღმოსავლეთის მდინარე კემზე, რომელზეც თავისი პირველი ტურისტული მარშრუტით გაიარა მამაჩემმა.

ზ. საფრაზიანი,
საქინფორმის კორ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ს. ვ. დურმიშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების სამოცდათხუთმეტ წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი სერგი ვასილის ძე **დურმიშიძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 26 თებერვალი.

მეცნიერი და მოქალაქე

მრავალმხრივია გამოჩენილი საბჭოთა ბიოქიმიკოსის, შესანიშნავი ადამიანის, სერგი ვასილის ძე დურმიშიძის მოღვაწეობა. იგი არის საქართველოში მცენარეთა ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი და მეც-…

დიდი მეცნიერული შედეგებით ხვდება სახელოვანი მეცნიერი თავისი დაბადების 75 წლისთავს. …

მრავალი ორიგინალური გამოკვლევა მოუძღვნა, მისი კვლევის შედეგები საყოველთაოდ არის …

… ელი, მაღალი გონებით, დიდი შრომისუნარიანობით, განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭით, საქმისადმი პრინციპული მიდგომით. ყოველივე ამან განაპირობა მისი მეცნიერული მიღწევები, თანამდგომთა და მოწაფეთა სიმრავლე და დიდი სიყვარული.

… სხვადასხვა დროს მუშაობდა აკადემიკოსების დ. პრიანიშნიკოვის, ვ. ბუტკევიჩის, ა. კურსანოვის, ა. ოპარინის ლაბორატორიებში. ს. დურმიშიძემ ბიოქიმიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას — ალკოჰოლური დუღილის ბიოქიმიას …

… ინსტიტუტში მრავალი მიმართულებაა დამკვიდრებული, მრავალი სამუშაო და გამოკვლევაა შესრულებული.

ს. დურმიშიძეს 300-მდე შრომა აქვს გამოქვეყნებული, მათ შორის რამდენიმე ფუნდამენტური მონო- …

… დღენიადაგ ზრდაზე. 1954 წლიდან იგი საქართველოს სსრ ყველა მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია და პირნათლად და აქტიურად ემსახურება ხალხს.

ს. დურმიშიძის დამსახურებაა საქართველოს სსრ მეცნიერებათა …

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი:
ო. ხაჩიძე,
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ახალი მატჩი 2 სექტემბერს დაიწყება

ფილიპინების დედაქალაქ მანილაში გამართულ პრესკონფერენციაზე ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) პრეზიდენტმა ფ. კამპომანესმა განაცხადა: მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთები მოითხოვენ გაგრძელდეს მსოფლიო ჩემპიონის ა. კარპოვისა და ამ წოდების პრეტენდენტის გ. კასპაროვის მატჩი მსოფლიო პირველობაზე, გადაწყვეტილება მატჩის შეწყვეტის თაობაზე საბოლოოა და არ გადაისინჯება. პრეზიდენტმა თქვა, რომ ა. კარპოვისა და გ. კასპაროვის ახალი მატჩი დაიწყება 1985 წლის 2 სექტემბერს და გამარჯვებულს მსოფლიო ჩემპიონის წოდება მიენიჭება. „ფიდეს სახელით ვაცხადებ,—ხაზი გაუსვა ფ. კომპომანესმა, — რომ ამა წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება აუცილებელი იყო მატჩის დროს შექმნილი სიტუაციის გამო. იგი მივიღე ნებაყოფლობით და მჯერა, რომ სწორი იყო მიღების მომენტშიც და სწორია ახლაც“.

სპორტული ორბიტა

ზამთრის უნივერსიადა. იტალიაში დამთავრებულ სტუდენტთა მსოფლიო ასპარეზობებზე საბჭოთა სპორტსმენებმა 8 ოქროს, 3 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. საბჭოთა მოთხილამურეთაგან თავი ისახელა ვლადიმერ ნიკიტინმა, რომელიც ესტაფეტაში, 15 და 30 კილომეტრზე რბოლაში …

ჭადრაკი. რიგაში დამთავრებულ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) ბოლო ტურის 109-ე სვლაზე გადადებული პარტია მოსკოველ ს. სმაგინსა და ზ. გურგენიძეს შორის არ გათამაშდა ქართველი მოჭადრაკის ავადმყოფობის გამო. სპეციალურმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში …

სტიქიონი გვრაზმავს და გვაფრთხილებს

„ყაზბეგი“ ალყაშია მოქცეული“, — ასე დაახასიათა რაიონში შექმნილი ვითარება საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. მესხიძემ.

მართალია, 14-გრადუსიანი ყინვების შემდეგ დათბა, სინოპტიკოსთა პროგნოზი მაინც ვერ არის სანუგეშო — კვლავ მოსალოდნელია თოვა.

—რა მდგომარეობაა ახლა რაიონში?

— სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფილი ვართ, — გვაცნობებს ტელეფონით შ. მესხიძე.— ჩვენს ჩვიდმეტსავე სასოფლო საბჭოში გაწმენდილია გზები, მათთან აღდგენილია სატელეფონო კავშირი.

კავშირგაბმულობასთან მართლაც არავითარი პრეტენზია არა გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, თბილისში ყაზბეგი ისე ისმის, თითქოს … გათ სითბო, შეემცირებინათ მაზუთის ხარჯი, სათბურებში ამოგმანეს ხვრელი, ყველა ბზარი, ცხრა ჰექტარიდან მხოლოდ ერთი დაზიანდა. ეს მინიმალური ზარალია. სამიოდ კვირაში კი აქ პამიდვრისა და კიტრის პირველ მოსავალს მიიღებენ.

სოფელ ლელვაში მშრომელთა დიდი ორგანიზებულობის მეოხებით უვნებლად გადაარჩინეს ყველა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობა. ეს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ჯუმბერ კობალაძეს, მის ამხანაგებს სამ უძილო ღამეთ ულირდათ, მაგრამ ადამიანთა ვაჟკაცობამ უკან დაახევინა სტიქიონს.

თუმცა ჯერ ნაადრევია გამარჯვების ზეიმი, დასავლეთ საქართველოს ბევრ რაიონში — ხელვაჩაურიდან ზუგდიდამდე კვლავ რთული მდგომარეობაა, რომელსაც უახლოეს დღეებში შეიძლება …

შენდება „ვარკეთილი-III“

უკვე რამდენიმე წელიწადია ვარკეთილის ტერიტორიაზე მიმდინარეობს დიდი სამშენებლო სამუშაოები. შენდება საცხოვრებელი რაიონი „ვარკეთილი-III“, რომელიც შედგება რამდენიმე მიკრორაიონისაგან. კერძოდ, დამთავრდა მე-4 მიკრორაიონის დაპროექტება. იგი დამუშავდა „თბილისქალაქპროექტის“ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტში.

სურათზე: არქიტექტორები მერაბ ბოლქვაძე და ლევან ჭანდიერი საცხოვრებელი რაიონის „ვარკეთილი-III“-ის მე-4 მიკრორაიონის პროექტთან.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

მომიტანა მამამ ავტო...

სხლიე სიხარ-ბესა შენსა

… მოდის... ზოგიერთს ტაქსი ემსახურება, ზოგიერთი კი არ კადრულობს, თაკილობს ავტობუსსა და ტროლეიბუსს და საკუთარი მსუბუქი ავტომობილით მოსრიალდება, ქედმაღლურად გადმოვა, ავტომანქანას დაკეტავს და...

შესაძენად. არც თუ იშვიათად ავტომობილი ხიფათსაც შეამთხვევს ადამიანს, მით უმეტეს ახალგაზრდას.

სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი გელა სამადაშვილი, …

სუხისმგებლობა აკისრიათ, ისინი თავიანთი საქციელით თვითონ უნდა იყვნენ სხვებისათვის მისაბაძნი. მაგრამ... ყმაწვილს „ნივა“ უყიდეს, რომ უნივერსიტეტში ლექციებზე საკუთარი ავტომანქანით დადიოდეს. …

ზამთარი მაღალი მთის ფერმებში

კალენდრის თარიღებს არაფრად აგდებს თებერვალი. თუმცა გაზაფხული კარს არის მომდგარი, ყინვა დღითი დღე მატულობს. განსაკუთრებით საგრძნობია იგი რესპუბლიკის მაღალმთიანეთში.

საქინფორმის კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა მესხეთ-ჯავახეთის მთელი რიგი რაიონების პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს და სთხოვა ეამბნათ, თუ როგორ სძლევენ ფერმების მშრომელები წლევანდელი ზამთრის სიძნელეებს.

პარტიის წალკის რაიკომის მეორე მდივანი ზ. აბრამიანი:

— თუმცა ახლა აღარ თოვს, მაგრამ წინა დღეებში იმდენი თოვლი დადო, რომ ტრასებზე გაძნელდა ავტომანქანების მოძრაობა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ დღედაღამ მუშაობს თოვლსაწმენდი ტექნიკა.

ჩვენი მეცხოველეების სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ამ ექსტრემალურ პირობებში ისინი ტემპის შეუნელებლად შრომობენ. ყოველდღე იღებენ საშუალოდ 13-14 ტონა რძეს — გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით გაცილებით მეტს.

ახალქალაქის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე ს. ოჰა- …

… ახდენს ფერმებში საქმის ვითარებაზე. ეს იმიტომ, რომ დროულად ვიზრუნეთ საკვები ბაზისათვის, დავათბუნეთ პირუტყვის სადგომები, შევაკეთეთ დაძველებული ბოსლები, ზოგან ახლებიც ავაგეთ.

პარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი დ. კოტეტიშვილი:

— 26 თებერვალს ყინვამ 20 გრადუსს მიაღწია, ხოლო თოვლის სიმაღლემ — ერთ მეტრს. ორი დღით ადრე ქარბუქი მძვინვარებდა. რაიონულმა შტაბმა მოაგვარა სადღეღამისო მორიგეობა ყველაზე რთულ უბნებზე. ვწმენდით შარაგზებს, ფერმებთან მისასვლელ გზებს., ახლა მდგომარეობა მთლიანად ნორმალიზებულია.

გამოზამთრება ორგანიზებულად მიმდინარეობს. სიძნელეთა დაძლევაში გვეხმარება მტკიცე საკვები ბაზა.

… დუსამდე დაეცა. ახლა თერმომეტრი 15 გრადუს ყინვას აჩვენებს. თოვლის გამო სამ დღეს კუმურდოს მეხორცეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობის ფერმებში არ იყო წყალი. წყალი რაიონის ყველა საწარმოდან მოაქვთ ცისტერნებით, წყალმზიდებით, ყველ-კარაქის ქარხნის რძის მზიდებით. წინასწარ ბულდოზერებითა და ტრაქტორებით გაიწმინდა რაიონული ცენტრიდან მეურნეობასთან მისასვლელი 14 კილომეტრი სიგრძის ტრასა.

ამინდის პირობები გავლენას არ …

ჩვენს ტელეეკრანებზე

მოსკოვი

27 თებერვალი

თბილისი

27 თებერვალი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ერმია“. 9.30 — „მოამბე“. 10.05 — „ჯაზის მოყვარულთა- …

… გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი თვითმოქმედი კოლექტივების საკავშირო დათვალიერებაზე მიღწეული წარმატება, მას თვითმოქმედი სახალხო თეატრის საპატიო წოდება მიანიჭა.

ა. მამისაშვილი

გარდაიცვალა 1941 წლიდან სკკპ წევრი, ნიჭიერი ჟურნალისტი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, დიდი სამამულო ომის მონაწილე არჩილ ლაზარეს ძე **მამისაშვილი.**

ა. მამისაშვილი დაიბადა 1917 წელს ცხინვალის რაიონის სოფელ მამისაანთუბანში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ერთხანს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ცხინვალში დაბრუნდა და გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციაში დაიწყო მუშაობა ჯერ ლიტერატურულ თანამშრომლად, შემდეგ პასუხისმგებელ მდივნად.

დიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღიდანვე ა. მამისაშვილი წითელი არმიის რიგებშია, რამდენიმეჯერ დაიჭრა. დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენითა და საბრძოლო მედლებით. ომის თემას მიუძღვნა წიგნი „ტყვეები აღმოსავლეთით მიდიან“.

ომის შემდეგ იგი კვლავ გაზეთ „საბჭოთა ოსეთს“ უბრუნდება. 1946 წლიდან ამ გაზეთს რედაქტორობდა. დაუსწრებლად დაამთავრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

ა. მამისაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა ოლქის ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა პოსტებზე. წლების მანძილზე შედიოდა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიუროს შემადგენლობაში. პერსონალურ პენსიაზე გასვლის შემდეგ წიგნის მოყვარულთა საოლქო საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი იყო.

არჩილ მამისაშვილის ხსოვნა არასოდეს წაიშლება იმათ გულში, ვისთანაც ერთად იგი შრომობდა და ცხოვრობდა.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტი

ბონდო კონსტანტინეს ძე კეშელავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08493 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, ბეჭდვითი ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, სტამბის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20